პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 206 (10600)
სამშაბათი
4
სექტემბერი
1956 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმა, შემოქმედებითი შესწავლისათვის—„პრავდის“ 2-IX მოწინავე (1-ლი გვერდი).

პეტრუ გროზას, კივუ სტოიკას, გეორგე გეორგიუ-დეჟის დეპეშა ამხანაგებს კ. ე. ვოროშილოვს, ნ. ა. ბულგანინს, ნ. ს. ხრუშჩოვს (1-ლი გვერდი).

ბრძანება სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან იმ სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნის შესახებ, რომლებმაც მოიხადეს სამსახურის დაწესებული ვადები, და ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევის შესახებ (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭის პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო სსრ კავშირში (მე-2 გვერდი).

თბილისიდან გაემგზავრნენ საქართველოს მაბალნენტის დეპუტატები (მე-2 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმა, შემოქმედებითი შესწავლისათვის

იწყება ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში. ფართო პარტიულ მასებში ახლა გაცხოველებით განიხილავენ პოლიტიკური სწავლების ორგანიზაციისა და შინაარსის საკითხებს.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ, რომელზეც გამოაშკარავებულ იქნა პარტიული პროპაგანდის სერიოზული ნაკლოვანებანი, რამდენადმე გაძლიერდა პროპაგანდისტული მუშაობის კავშირი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების შესრულებასთან. მეტი ყურადღება ექცევა კადრების ეკონომიურ განათლებას, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ ბრძოლის პირობებში, რომელსაც ჩვენი საზოგადოება აწარმოებს შრომის ნაღალი ნაყოფიერებისათვის, სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის შესრულებისათვის.

პარტიული განათლების სისტემაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების შესწავლამ გაძლიერა კომუნისტებისა და უპარტიო აქტივის ფართო წრეების ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიის, პარტიისა და მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალური საკითხებისადმი. პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევისათვის ბრძოლამ, რომელიც პარტიამ გააჩაღა, უფრო ხელსაყრელი პირობები შექმნა მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი შესწავლისათვის. მაგრამ ის, რაც პარტიული განათლების გარდასაქმნელად გაკეთდა, მხოლოდ პირველი ნაბიჯებია.

ამას წინათ მიღებულ დადგენილებაში „პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის შედეგებისა და ახალ სასწავლო წელს პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ კომუნისტების პოლიტიკური განათლებისადმი ხელმძღვანელობა ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება. ინასთან დაკავშირებით, რომ მრავალი წლის განმავლობაში მთელ პროპაგანდისტულ მუშაობას საფუძვლად ედო უმთავრესად „საკავშირო კპ(ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, კომუნისტები არ სწავლობდნენ მარქსიზმ-ლენინიზმს როგორც მთლიან მოძღვრებას, რომელიც შეიცავს დიალექტიკურ და ისტორიულ ნატერიალიზმს, პოლიტიკურ ეკონომიას, სოციალისტური რევოლუციის თეორიასა და პრაქტიკას, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ისტორიასა და პრაქტიკას. საკმაო ყურადღება არ ექცეოდა ლენინის დიდი თეორიული მემკვიდრეობის შესწავლას. პარტიულ პროპაგანდაში დღემდე აღმოფხვრილი არ არის ისეთი ღრმად ფესვგადგმული ნაკლოვანებანი, როგორიც არის თანამედროვეობის ძირეული პრობლემებისაგან დაშორება და წარსულით გატაცება, თალხუდიზმი და სკოლარობა, ეკონომიური თეორიისა და კონკრეტული ეკონომიკის შესწავლის შეუფასებლობა.

პარტიული განათლების შინაარსი და ფორმები, რომლებიც დაახლოებით ორი ათული წლის წინათ დამკვიდრდა, ვეღარ აკმაყოფილებს კომუნისტებს, რომელთა ზოგადსაგანმანათლებლო და პოლიტიკური მომზადება მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო სულიერი მოთხოვნილებანი განუზომლად უფრო ხდიდარი გახდა. ბევრი პარტიული ორგანიზაცია ვერ იჩენს ინიციატივასა და მოქნილობას პარტიული განათლების ორგანიზაციასა და ხელმძღვანელობაში, ავიწყდებათ, რომ პოლიტიკური განათლება მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმატებითი იყოს, როცა იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ამოცანებთან, რომლებსაც ამჟამად პარტია წყვეტს, როცა კომუნისტებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლა მიაჩნიათ საველ-ძღვანელოდ თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში.

პარტიული განათლების საქმეს დიდი ზიანი მიაყენა პიროვნების კულტმა, რომელიც უცხოა მარქსიზმ-ლენინიზმისათვის. ნაცვლად იმისა, რომ ეხელმძღვანელათ მარქსისტულ-ლენინური თეორიით, ცხოვლად, უნარიანად და კონკრეტულად განემარტათ კომუნისტური მშენებლობის ამოცანები, თანამედროვე ისტორიული განვითარების ახალი გამოცდილება, რომელიც პარტიამ განაზოგადა, ბევრი პროპაგანდისტი თავის როლს განსაზღვრავდა ციტატების გადაცემით, ცნობილ შემარტებათა გამეორებით, რომელთაც კავშირი არა აქვთ ცხოვრებასთან, პარტიისა და ხალხის პრაქტიკულ ამოცანებთან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ნაკლოვანებანი პარტიული განათლების სისტემაში იმის შედეგიც არის, რომ სწორად არ ესმით ნებაყოფლობითობის პრინციპი მარქსისტულ-ლენინურ განათლებაში. ადმინისტრირება და შაბლონი, რაც პოლიტიკური სწავლების ორგანიზაციის დროს იყო, იწვევდა იმას, რომ კომუნისტების მნიშვნელოვან ნაწილს, წინააღმდეგ მათი სურვილისა, ჩარიცხავდნენ ხოლმე ერთი ტიპის წრეებში, სადაც ისინი იძულებული იყვნენ წლობით ესწავლათ ერთი და იგივე, მათთვის დიდი ხნის ცნობილი საკითხები.

მარქსისტულ-ლენინურ განათლებაში ნებაყოფლობითობის პრინციპის განხორციელება პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს აღმოფხვრან ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული პრაქტიკა პარტიულ განათლებაში, მკვეთრად გაუმჯობესონ წრეების, სკოლების, სემინარების მუშაობის ხარისხი. საქმე ეხება პარტიული განათლების ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც გაითვალისწინებს კომუნისტების მრავალმხრივ მოთხოვნილებებს. უზრუნველყოფს მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმა შემოქმედებითს შესწავლას როგორც წრეებსა და სკოლებში, ისე თვითგანათლების გზით, რომელსაც საფუძვლად დაედება კომუნისტების ცხოველი ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიის შეცნობისადმი.

ამასთანავე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს არანორმალურად მიაჩნია, რომ „ნებაყოფლობითობის“ ალმით პარტიის წევრთა, მათ შორის ხელმძღვანელ მუშაკთა, ნაწილმაც ფაქტიურად შეწყვიტა პოლიტიკური სწავლა. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციები, რომლებნაც ხელი აიღეს თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთადმი წვრილმან მეურვეობაზე, მეორე უკიდურესობაში ჩავარდნენ — თავი მიანებეს პოლიტიკური თვითგანათლებისადმი ხელმძღვანელობასა და ორგანიზაციას. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შესწავლა ბევრ შემთხვევაში არსებითად შეწყდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიული ორგანიზაციების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ შეუწყნარებელია მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლისა და პროპაგანდისათვის მუშაობის რაიმე შეწელება. კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის როლი განსაკუთრებით ძლიერდება სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის, საბალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის ახალ დიდ ამოცანებთან დაკავშირებით. ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე ამოცანებთან და იმასთან დაკავშირებით, რომ საჭიროა საკვანძოთ დავძლიოთ პიროვნების კულტი და მისი შედეგები.

ჩვენი პროპაგანდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ ვამხილებდეთ თანამედროვე კაპიტალიზმის იმპერიალისტურ არსს, ვაშიშვლებდეთ მის იარაღს, წინააღმდეგობებსა და ანტაგონიზმს, საბჭოთა კავშირისა და საბალხო დემოკრატიის ქვეყნების ცხოვრებიდან აღებული კონკრეტული მაგალითებით განვმარტავდეთ სოციალისტური წყობილების დიდ უპირატესობებს კაპიტალიზმის წყობილების წინაშე. სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემების მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობა სრულიადაც არ ნიშნავს ორი იდეოლოგიის — სოციალისტური და ბურჟუაზიული იდეოლოგიების შერიგებას. ყოველი კომუნისტის ვალი და მოვალეობაა იბრძოდეს ჩვენდამი მტრული იდეოლოგიის წინააღმდეგ, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ, იბრძოდეს მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობისათვის, მისი პრინციპების სიწმინდისათვის.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის ძალა და უძლეველობა იმაში მდგომარეობს, რომ ეს პოლიტიკა ემყარება საზოგადოებრივი განვითარების კანონთა გაცნობიერებას, რომელთა ცოდნას მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმი იძლევა. ის გარემოება, რომ ჩვენს პარტიას ჰყავს მარქსისტულად განათლებული კადრები, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ამ კადრებს შეუძლიათ შეაჩერონ თავიანთი იდეური და თეორიული ზრდა. საზოგადოებრივი ცხოვრება ერთ ადგილზე არა დგას, იგი ახალ და ახალ ამოცანებს გვისახავს. ჩვენი პარტიის კადრები თეორიულად უნდა გაიაზრებდნენ პრაქტიკულ გამოცდილებას, ახალ საკითხებს, რომლებსაც ცხოვრება აყენებს. ისინი მოვალენი არიან დაუცხრომლად მუშაობდნენ თავიანთი იდეურ-თეორიული დონის აწაღლებაზე. მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლისადმი გულგრილობა იწვევს კომუნისტური იდეურობის დაკარგვას, ჩვენი განვითარების პერსპექტივების დაკარგვას, იგი ეწინააღმდეგება ჩვენი პარტიის ბუნებას და მისი წესდების მოთხოვნებს.

პარტიული პროპაგანდის მთავარი ამოცანაა აიარაღებდეს კომუნისტებს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ცოდნით, საზოგადოებრივი განვითარების კანონების, კომუნიზმის აშენებლობის კანონების ცოდნით, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ღრმა გაგებით. საჭიროა ვუნერგავდეთ პარტიის წევრებს მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას, კომუნისტურ იდეურობას, თეორიის შესწავლისადმი შემოქმედებითს ნიდგომას, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებებისადმი შეურიგებლობას.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ბოლომდე აღმოფხვრან პროპაგანდისტულ მუშაობაში პიროვნების კულტის შედეგები, დაძლიონ პროპაგანდის მოწყვეტა თანამედროვეობისაგან, კომუნიზმის ნატერიალურ-საწარმოო ბაზის შექმნისათვის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის, სოციალისტური კულტურის განვითარებისათვის პარტიისა და ხალხის ბრძოლის ძირეული პრობლემებისაგან. პარტიული განათლება მოწოდებულია ღრმად გვიჩვენებდეს კავშირს საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ საქმიანობასა და კომუნიზმის მშენებლობის დიად ამოცანებს შორის, ამაღლებდეს პარტიის ცხოვრების იდეურ დონეს და კომუნისტების შემოქმედებითს აქტივობას.

ახლა კომუნისტთა სურვილებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად ხდება პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტება. მოწავალ სასწავლო წელს იმოქმედებენ: პოლიტსკოლები, როგორც სავალდებულო დაწყებითი საფეხური იმ კომუნისტებისათვის, რომლებიც დაუფლებული არ არიან პოლიტიკური ცოდნის მინიმუმს; მომდინარე პოლიტიკის წრეები, რომლებიც შეისწავლიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებებს, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებებს რესპუბლიკის, მხარის, ოლქის საკოლმეურნეო და კულტურული მშენებლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, აგრეთვე გააცნობენ მსმენელთ საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ცხოვრების მოვლენებს; მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის საფუძვლების შემსწავლელი სემინარები ან წრეები; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელი სემინარები ან წრეები; პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი, აგრეთვე მეექვსე ხუთწლედის პრობლემებისა და წარმოების კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარები ან წრეები.

პარტიული განათლების ქსელის ორგანიზაციის დროს, როგორც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, პარტიული კომიტეტები უნდა ერიდებოდნენ შაბლონს, იჩენდნენ მეტ შემოქმედებითს ინიციატივას იმ მიზნით, რომ მეცადინეობისა და ლექციების პროგრამები, თემატიკა მაქსიმალურად მიუახლოონ მოცემული რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ქალაქის, რაიონის კონკრეტულ პირობებს. ნეტი დრო უნდა ეთმობოდეს იმ თემების შესწავლას, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია თანამედროვეობასთან და რომლებიც კომუნისტების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. მიზანშეწონილია იქმნებოდეს მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცალკეული აქტუალური პრობლემების შემსწავლელი სემინარები ან წრეები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის სემინარებისა და წრეების გეგმებსა და პროგრამებში ნეტი ყურადღება უნდა ეთმობოდეს პარტიის საქმიანობის გაშუქებას ოქტომბრისშემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების, პარტიისა და მთავრობის დადგენილებების ღრმად შესწავლას.

მოსაწონია ინიციატივა მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციებისა, რომლებიც იწვევენ ეკონომიურ კონფერენციებს, სადაც განიხილავენ საწარმოების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის აქტუალურ საკითხებს. საჭიროა ყოველი ღონისძიებით ვიყენებდეთ მუშაობის ამ სასარგებლო ფორმას კადრების ეკონომიური განათლების ასამაღლებლად, ნოწინავე გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების გასავრცელებლად.

პარტიული განათლების სისტემაში დიდი მაორგანიზებელი მნიშვნელობა აქვს სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების მტკიცე ვადებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ ეს ვადები შეიძლება სხვადასხვა იყოს სხვადასხვა რესპუბლიკისა და ოლქისათვის. სასწავლო წელი, როგორც სწავლის გარკვეული პერიოდი, უთუოდ უნდა იყოს, მაგრამ მის დასაწყისს — 1 სექტემბერსა და 15 ოქტომბერს შუა და დასასრულს — 1 აპრილსა და 1 ივნისს შუა ადგილობრივი პირობების მიხედვით, დიფერენცირებულად ქალაქებისა და სასოფლო რაიონებისათვის, ახლა ადგილზე დაწესებენ მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები, პარტიის საოლქო და სამხარეო კომიტეტები. რეკომენდებულია სკოლებისა და წრეების მეცადინეობის პერიოდულობა დაწესდეს შესასწავლი საკითხების ხასიათისა და მსმენელთა მომზადების მიხედვით. მაგალითად, თეორიულ სემინარებში, სადაც საჭიროა ხანგრძლივი მომზადება, მეცადინეობა შეიძლება იყოს დაახლოებით თვეში ერთხელ, პოლიტსკოლებსა და წრეებში — არაუხშირეს, ვიდრე ორ-სამჯერ თვეში.

ამჟამად, როგორც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, კომუნისტების იდეურ-თეორიული მომზადების ძირითადი, მთავარი მეთოდი ხდება მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებელი შესწავლა. მაგრამ იგი ვერ ითმენს თვითდინებას, არაჩედ მოითხოვს ორგანიზაციას, სისტემატურ ხელმძღვანელობასა და დახმარებას პარტიული ორგანოების მხრივ. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ სისტემატური დახმარება გაუწიონ კომუნისტებს, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ მარქსიზმ-ლენინიზმს, ინისათვის, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებელ შესწავლას თან ახლდეს დროდადრო თეორიული საკითხების კოლექტიური განხილვა. საჭიროა უფრო ფართოდ შემოვიღოთ პრაქტიკაში ლექციები, სემინარები, გასაუბრებანი, თეორიული კონფერენციები, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები, ამასთან გავითვალისწინოთ იმ კომუნისტების მოთხოვნილებანი და სურვილები, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ თეორიას.

პარტიული კომიტეტების განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროპაგანდისტთა შერჩევასა და მოამზადებას. მოხსენებებისა და ლექციების წასაკითხავად, სკოლებში, წრეებსა და სემინარებში მეცადინეობის მოსაწყობად უნდა ვიზიდავდეთ თეორიულად უფრო მომზადებულ, პრაქტიკული პარტიული, სამეურნეო და საბჭოთა მუშაობის გამოცდილების მქონე კომუნისტებს. უნდა მოეწყოს პროპაგანდისტთა კადრების გეგმაზომიერი მომზადება და გადამზადება პარტიული განათლების ქსელისათვის, განსაკუთრებით ეკონომიური განათლების დარგში.

მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა არა მარტო პროპაგანდისტთა და პარტიული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების მუშაკთა საქმეა. მასში აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდნენ პარტიული კომიტეტების ყველა სხვა განყოფილების მუშაკები. ეკონომიური ცოდნის პროპაგანდაში საჭიროა ფართოდ მოვიზიდოთ სამინისტროების, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოების მუშაკები, საწარმოთა დირექტორები, ინჟინრები, აგრონომები, წარმოების ნოვატორები, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები.

ჩვენს პრესას ბევრი რამ შეუძლია გააკეთოს და კიდევაც უნდა გააკეთოს პარტიული პროპაგანდის გაუმჯობესებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არასწორად მიიჩნია, რომ ზოგიერთმა ცენტრალურმა, რესპუბლიკურმა, საოლქო გაზეთმა, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების თეორიულმა და პოლიტიკურმა ჟურნალებმა თითქმის შეწყვიტეს სტატიებისა და კონსულტაციების გამოქვეყნება პოლიტიკური თვითგანათლების დასახმარებლად, თეორიული პრობლემების შესახებ მკითხველთა შეკითხვებზე პასუხის გამოქვეყნება. პრესა მოწოდებულია რეგულარულად აშუქებდეს თანამედროვეობის ყველაზე აქტუალურ თეორიულ და პოლიტიკურ პრობლემებს, პარტიული ორგანიზაციების საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის პრაქტიკას.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ინტერესები მტკიცედ მოითხოვს პოლიტიკური განათლების საქმისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერებას. პარტიული ორგანიზაციები ისე უნდა ხელმძღვანელობდნენ და წარმართავდნენ პარტიულ განათლებას, რომ უზრუნველყონ პარტიის ყველა წევრის შემდგომი იდეური ზრდა და პოლიტიკური წრთობა, განავითარონ მათი აქტივობა და თვითმოქმედება კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში.

„პრავდის“ 2 სექტემბრის მოწინავე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ა. ბულგანინს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს

ქ. მოსკოვი

ძვირფასო ამხანაგებო, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოს, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რუმინელი ხალხის სახელით გულითად მადლობას მოგახსენებთ მხურვალე მოლოცვისა და სურვილებისათვის, რაც გამოთქვით ფაშისტური ჩაგვრისაგან რუმინეთის განთავისუფლების მე-12 წლისთავის გამო. ამ დიდი ეროვნული დღესასწაულის გამო რუმინელი ხალხი გამოთქვამს ძმური მეგობრობისა და მადლიერების გრძნობას გმირი საბჭოთა ხალხისა და მისი მამაცი შვილებისადმი, რომლებიც რუმინელი ხალხის თავისუფლებისათვის იბრძოდნენ. წინ მიდიან რა სოციალიზმისა და მშვიდობის ნათელი გზით, რუმინეთის მუშათა პარტია, მთავრობა და რუმინელი ხალხი გამოთქვამენ თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას დაუცხრომლად განავითარონ დიადი მეგობრობა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის, აქტიურად შეუწყონ ხელი სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობის განმტკიცებას, გულმოდგინედ განაგრძონ მეცადინეობა, რათა შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა, განვითარდეს თანამშრომლობა ყველა ქვეყანას შორის და განმტკიცდეს მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

პეტრუ გროზა — რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე

კივუ სტოიკა — რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

გეორგე გეორგიუ-დეჟი — რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ბუქარესტი, 1956 წ. 31 აგვისტო.

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1956 წლის 3 სექტემბერი *№ 130* *ქ. მოსკოვი*

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან იმ სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნის შესახებ. რომლებმაც მოიხადეს სამსახურის დაწესებული ვადები. და ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევის შესახებ

საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. დათხოვნილ იქნან საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, მესაზღვრე და შინაგანი ჯარების რიგებიდან თადარიგში ჯარისკაცები, მატროსები, სერჟანტები და ზემდეგები, რომლებმაც მოიხადეს კანონით დაწესებული ვადები ნამდვილი სამხედრო სამსახურისა.

2. ამ ბრძანების 1 პუნქტში აღნიშნულ სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნასთან დაკავშირებით გაწვეულ იქნან საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, მესაზღვრე და შინაგანი ჯარების ნამდვილ სამხედრო სამსახურში 1937 წელს დაბადებული მოქალაქენი, რომლებსაც არა აქვთ შეღავათის და გაწვევის განვადების უფლება, აგრეთვე გასაწვევ ასაკთა მოქალაქენი, რომელთაც გაუვიდათ გაწვევის განვადება და რომელთა ტოლნი ნამდვილ სამხედრო სამსახურში იმყოფებიან.

3. ბრძანება გამოცხადდეს ყველა ასეულში, ბატარეაში, ესკადრილიაში და ხომალდზე.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი გ. ჟუკოვი

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სპორტსმენების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში აქტიური მონაწილეობისა და 1956 წლის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მაღალი სპორტული მიღწევებისათვის დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **გაგნიძე** კონსტანტინე მიხეილის-ძე—ფეხბურთელი.
2. **გვახარია** ნოდარ ვალერიანის-ძე — წყალბურთელი.
3. **ელოშვილი** ვლადიმერ სერგის-ძე — ფეხბურთელი.
4. **ზაზროშვილი** ანდრია ივანეს-ძე — ფეხბურთელი.
5. **თაკაძაძე** მიხეილ იაგორის-ძე — მწვრთნელი ჭიდაობაში.
6. **კალოევი** ზაურ გრიგოლის-ძე — ფეხბურთელი.
7. **კაპიტანოვი** ლევ ნიკოლოზის-ძე — მწვრთნელი ჭიდაობაში.
8. **კიკნაძე** არჩილ სამუელის-ძე — მწვრთნელი ფეხბურთში.
9. **კლდიაშვილი** მარიამ ვლადიმერის ასული — მწვრთნელი ჩოგბურთში.
10. **კოტრიკაძე** ალექსანდრე პარმენის-ძე — ფეხბურთელი.
11. **კუხიანიძე** ვახტანგ მელიტონის-ძე — მწვრთნელი ჭიდაობაში.
12. **მარღანია** ვლადიმერ ჩიჩინოს-ძე — ფეხბურთელი.
13. **ნიკიტინი** ბორის ვასილის-ძე — მცურავი.
14. **ნოზაძე** შალვა ივანეს-ძე — მწვრთნელი ჭიდაობაში.
15. **ოგანოვი** ივანე ივანეს-ძე — მწვრთნელი ტანვარჯიშში.
16. **ოვანესიანი** კონსტანტინე არტემის-ძე — წყალბურთელი.
17. **პირაევი** მიხეილ იაკობის-ძე — ფეხბურთელი.
18. **რაზმაძე** ვლადიმერ სერგის-ძე—მწვრთელი ნიჩბოსნობაში.
19. **სხირტლაძე** გიორგი სერგის-ძე — მოჭიდავე.
20. **ღოღობერიძე** ავთანდილ ნიკოლოზის-ძე — ფეხბურთელი, გუნდის კაპიტანი.
21. **ჩაჩავა** ზურაბ როსტომის-ძე — წყალბურთელი.
22. **ჩხიკვაძე** ირაკლი დმიტრის-ძე — წყალბურთელი.
23. **ცალქალამანიძე** მირიან ვასილის-ძე — მოჭიდავე.
24. **ძეკონსკი** ლევ ვიქტორის-ძე — მწვრთელი კალათბურთში.
25. **ძიაშია** ნიაზი ალექსანდრეს-ძე — ფეხბურთელი.
26. **ძნელაძე** რომან მიხეილის-ძე — მოჭიდავე.
27. **ჭკუასელი** ავთანდილ ნოეს-ძე — ფეხბურთელი.
28. **ხასაია** ბორის ნიკოლოზის-ძე — ფეხბურთელი.
29. **ხოჭოლავა** გივი ივანეს-ძე—ფეხბურთელი.
30. **ჯეჯელავა** გაიოზ ივანეს-ძე — უფროსი მწვრთნელი ფეხბურთში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ს. როსტიაშვილი.

ქ. თბილისი. 1956 წ. 1 სექტემბერი.

ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო სსრ კავშირში

ლენინგრადი, 2 სექტემბერი. (საკადესის სპეც. კორ.). ორი დღე დაჰყვეს ლენინგრადში ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სუკარნომ და მისმა თანმხლებმა პირებმა. ლენინგრადელები ინდონეზიელი ხალხის წარმოგზავნილებს ხვდებოდნენ, როგორც ახლო მეგობრებს, ქუჩებსა და ქარხანაში, მეტროპოლიტენის სადგურებსა და თეატრში — ლენინის ქალაქის მცხოვრებნი ყველგან მიმართავდნენ სტუმრებს გულითადი მისალმების სიტყვებით, სთხოვდნენ საუკეთესო სურვილები გადასცენ ინდონეზიის ხალხს, რომელიც იბრძვის ეროვნული თავისუფლებისათვის. დღეს პრეზიდენტმა სუკარნომ და მისმა თანამგზავრებმა დატოვეს ლენინგრადი.

დილით ადრე ლენინგრადის აეროპორტში სტუმრების გასაცილებლად შეიკრიბა მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი. გამცილებელთა შორის არიან ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. სმირნოვი, ლენინგრადის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ი. ვოროგბიოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. რ. კოზლოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ვ. სპირიდონოვი და სხვები.

ქარი აფრიალებს ფლაგშტოკებზე აღმართულ ინდონეზიის, საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ალმებს. აეროდრომზე ჩამწკრივებულია საპატიო ყარაული. ჟღერს ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნების მელოდიები. პრეზიდენტმა სუკარნომ და ნ. ი. სმირნოვმა ჩამოუარეს საპატიო ყარაულს ფრონტს.

ნ. ი. სმირნოვი გამოსათხოვარი სიტყვით მიმართავს საპატიო სტუმარს. იგი მადლობას უხდის პრეზიდენტს იმისათვის, რომ ეწვია ლენინგრადს, და უსურვებს სტუმრებს ბედნიერ მოგზაურობას საბჭოთა კავშირში.

მიკროფონის წინ სიტყვას ამბობს პრეზიდენტი სუკარნო. მან განაცხადა:

— თქვენო აღმატებულებავ, ბ-ნო მერო, მეგობრებო!

მსურს მადლობა მოგახსენოთ იმისათვის, რომ მისურვეთ მშვიდობით მგზავრობა სამი მილიონი ლენინგრადელის სახელით. ინდონეზია და საბჭოთა რუსეთი ათასობით კილომეტრით არიან დაშორებული ერთმანეთს. მაგრამ ამან ვერ დაამცირა ჩვენი შეხვედრა. უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ჩამოსვლა არა მარტო ადამიანების შეხვედრაა, არამედ ჩვენი გულების შეხვედრაც არის. მიღება, რომელიც თქვენ გაგვიწიეთ, ალმაფრთოვანებელი იყო. ჩვენი ურთიერთობა განმტკიცდა, და იმედი გვაქვს, რომ რთული საკითხები, რომლებიც ახლა დგას მსოფლიოს წინაშე, საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის რესპუბლიკის ხალხებს შორის მეგობრობის, აგრეთვე მთელი მსოფლიოს სხვა ხალხებს შორის მეგობრობის პირობებში, წარმატებით გადაიჭრება.

ერთხელ კიდევ მადლობას მოგახსენებთ კეთილი სურვილებისათვის, რომლებიც ახლა გამოთქვით ლენინგრადელთა სახელით. იმედი მაქვს კიდევ შეგხვდებით!

უკანასკნელი ხელის ჩამორთმევა. პრეზიდენტი სუკარნო და მისი თანამგზავრები თვითმფრინავში შედიან. მანქანა ადის ჰაერში, გამოსათხოვარ წრეს აკეთებს აეროდრომზე და კურსს იღებს აღმოსავლეთისაკენ. ლენინგრადიდან სტუმრები სვერდლოვსკში გაფრინდნენ.

ყაზანი, 2 სექტემბერი. (საკადესის სპეც. კორ.). დღეს დილის 11 საათზე ლენინგრადიდან სვერდლოვსკში მიმავალი ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო ყაზანის აეროპორტში გაჩერდა.

საპატიო სტუმრის და მისი თანმხლები პირების შესახვედრად აეროდრომზე მოვიდნენ თათრეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ს. ნ. ნიზამოვი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ზ. აზიზოვი, თათრეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ზ. ი. მურატოვი, სსრ კავშირის, რუსეთის სფსრ, თათრეთის ასსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, თათრეთის დედაქალაქის საშრეწველო საწარმოთა წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

თათრეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მ. ზ. აზიზოვმა პრეზიდენტ სუკარნოს მისალმების სიტყვებით მიმართა ინდონეზიურ ენაზე: „სალამათ სიან ბუნგ კარნო!“ („ჯანმრთელობა შენ, ძმაო კარნო!“). დოქტორმა სუკარნომ მხურვალე მადლობა გადაიხადა ამ სიტყვებისათვის.

ინდონეზიელ სტუმრებს გულითადად მიესალმა თათრეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ს. ნ. ნიზამოვი.

საპასუხო სიტყვაში პრეზიდენტმა სუკარნომ თქვა:

— დიდად მასიამოვნა მისალმების სიტყვებმა ჩემი და ჩემი მეგობრების მიმართ. დიდად მადლობელი ვარ ამ მისალმებისათვის, იმისათვის, რომ თქვენ ისე თავაზიანი იყავით, რომ ძმაო კარნო მიწოდეთ. ეს ცხადყოფს, რომ თქვენ, აქ მყოფთ, თქვენს ამხანაგად მიგაჩნივართ. მე ჩამოვედი როგორც ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი, მაგრამ ვგრძნობ, რომ ჩამოვედი აქ არა მარტო როგორც საბჭოთა კავშირის მეგობარი ქვეყნის პრეზიდენტი, არამედ როგორც უბრალო ადამიანი, რომელსაც მისმა ხალხმა დაავალა გადასცეს საბჭოთა კავშირის ხალხს თავისი მეგობრული გრძნობები.

მე ჩამოვედი აქ როგორც ხალხის წარმომადგენელი, როგორც ხალხის წიაღიდან გამოსული ადამიანი. ხალხმა ამირჩია პრეზიდენტად. უხალხოდ მე არარა ვარ. მაგრამ ხალხთან ერთად ჩვენ შეგვიძლია ავაშენოთ მშვიდობიანი და აყვავებული საზოგადოება.

ჩვენი ამოცანა, თქვა დასასრულ პრეზიდენტმა სუკარნომ, როგორც ინდონეზიის, ისე საბჭოთა კავშირის და მსოფლიოს ყველა ქვეყნის ყველა მშრომელისა და ხელმძღვანელის ამოცანაა გულმოდგინედ ვიმუშაოთ, რათა მივაღწიოთ მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

აეროპორტის შენობაში თათრეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ს. ნ. ნიზამოვმა საუზმე გამართა საპატიო სტუმრისა და მისი თანამგზავრების პატივსაცემად. საუზმის დროს თათრეთის ოპერის თეატრის მსახიობებმა სტუმრებისათვის შეასრულეს თათრული ხალხური სიმღერები.

12 საათსა და 20 წუთზე თვითმფრინავმა სტუმრები წაიყვანა სვერდლოვსკისაკენ.

სვერდლოვსკი, 2 სექტემბერი. (საკადესის სპეც. კორ.). დღეს 16 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით ლენინგრადიდან სვერდლოვსკში ჩამოვიდნენ ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო და მისი თანმხლები პირები. სტუმრებს შეხვდნენ სვერდლოვსკის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე პ. გ. პანოვი, პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. პ. კირილენკო, სვერდლოვსკის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე კ. კ. ნიკოლაევი, მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი.

საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს პრეზიდენტ სუკარნოს ახლავან: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე შ. რ. რაშიდოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, არმიის გენერალი მ. ი. კაზაკოვი, სსრ კავშირის ელჩი ინდონეზიაში დ. ა. ჟუკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო აღმოსავლეთ აზიის განყოფილების გამგე ბ. მ. ვოლკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე კ. ა. კონჩეტკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე მ. ა. ხარლამოვი.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახელით ამხ. პანოვი გულითადად მიესალმა ინდონეზიის სახელმწიფოს მეთაურს.

უპასუხა რა მისალმებაზე, პრეზიდენტმა სუკარნომ განაცხადა:

ძვირფასო ამხანაგებო! გულწრფელად ნასიამოვნები ვარ მისალმებით, რომელიც თქვენ აქ გამოთქვით ჩემს მიმართ, თავს ვგრძნობ როგორც სახლში, საკუთარ ოჯახში.

ჩემი, როგორც ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტის და ინდონეზიელი ხალხის წარმომადგენლის ამოცანაა — განვამტკიცო არსებული მეგობრული ურთიერთობა ინდონეზიასა და საბჭოთა კავშირს შორის. მე ვგრძნობ, რომ ჩემი ამოცანა ძნელი არ იქნება, რადგანაც მეგობრობა და ძმობა არ შეიძლება არ ჰქონდეთ ხალხებს, რომლებსაც საერთო მიზნები აქვთ. ჩვენს ქვეყნებს შორის, რომლებიც შვიდობისა და აყვავებისათვის იბრძვიან, უნდა არსებობდეს მეგობრობა და ძმობა.

დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ პრეზიდენტის საბოლოო სიტყვებს:

— ჩვენ ვიმუშავებთ იმისათვის, რომ განვამტკიცოთ მეგობრობა და ძმობა ჩვენს ხალხებს შორის.

გაუმარჯოს მეგობრობას საბჭოთა კავშირსა და ინდონეზიას შორის!

გაუმარჯოს მეგობრობასა და ძმობას საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის ხალხებს შორის!

აეროდრომიდან პრეზიდენტი სუკარნო და ინდონეზიის სხვა წარმომადგენლები ქალაქში გაემგზავრნენ. აეროპორტიდან მთელ გზაზე ქალაქამდე სტუმრებს მიესალმებოდა ათასობით სვერდლოვსკელი.

ხანმოკლე დასვენების შემდეგ ინდონეზიელი სტუმრები ეცნობოდნენ ქალაქს.

მეურნეობაში ბოსტნეული ფუჭდება, მოთხოვნილება კმაყოფილდება

გაგრის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა წლის დასაწყისიდანვე ენერგიული მუშაობა გააჩაღა ბოსტნეულის უხვი მოსავლის მისაღებად. დროულად ჩაატარა თესვა, უზრუნველყო ყველა კულტურის სათანადო მოვლა, რის შედეგადაც მიაღწია ბოსტნეულისა და საკვები კულტურების მაღალი მოსავლის მიღებას.

საბჭოთა მეურნეობის დირექციამ დროულად, ჯერ კიდევ 10 აპრილიდან საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს დავალების შესაბამისად აფხაზეთურორტვაჭრობის გაგრის რაიონულ განყოფილებასთან დადო ხელშეკრულება 500 ტონა ბოსტნეულის ჩაბარებაზე.

მაგრამ როცა დაიწყო ბოსტნეულის მოსავლის აღება, საბჭოთა მეურნეობა პირველი დღეებიდანვე განსაკუთრებულ სიძნელეებს წააწყდა ბოსტნეულის რეალიზაციის საქმეში.

აფხაზეთურორტვაჭრობის გაგრის განყოფილებამ არ მიიღო მთელი ის პროდუქცია, რაც საბჭოთა მეურნეობამ მოიყვანა. ამის გამო მეურნეობის დირექცია იძულებული გახდა ბოსტნეულის გასაღების ადგილები ეძიებინა ქ. სოჭში, აგრეთვე აფხაზეთის სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, რაც დაკავშირებული იყო ზედმეტ ხარჯებთან ბოსტნეულის ავტოტრანსპორტით გადაზიდვის გამო. ამ გარემოებამ გამოიწვია პროდუქციის დიდი ნაწილის გაფუჭება. ამასთან ამ ქალაქებში ბოსტნეულის რეალიზაციის საქმე შემთხვევითს ხასიათს ატარებდა, რადგან ეს საკავშირო ორგანიზაციები გაგრის საბჭოთა მეურნეობასთან არავითარი ვალდებულებით არ იყვნენ დაკავშირებულნი.

ბოსტნეულის რეალიზაციის საქმეში ასეთი უწესრიგობა კარგად არის ცნობილი გაგრის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოებისათვის. აგრეთვე საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტროებისათვის, მაგრამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ქმედითი ზომები არავის მიუღია.

წელს ასეთი სიძნელეები პირველ რიგში იმის შედეგია, რომ აფხაზეთურორტვაჭრობის გაგრის განყოფილება (დირექტორი ამხ. გ. კოკაია) უპასუხისმგებლოდ მოეკიდა და სრულიად მოუმზადებელი შეხვდა ბოსტნეულის პროდუქციის რეალიზაციის, შენახვისა და გადამუშავების საქმეს.

მაგალითად, კურორტვაჭრობის ბოსტნეულის შესანახი საწყობი სრულიად შეუფერებელი და მოუწყობელია ბოსტნეულის შესანახად. საწყობში ტემპერატურა ისეთივეა, როგორიც გარეთ, ე. ი. ხშირად 30-32 გრადუსი. არსებული მაცივრის წესრიგზე მოყვანისათვის თავის დროზე არავის უფიქრია. მისი რემონტი მხოლოდ ახლახან დამთავრდა.

კურორტვაჭრობას არა აქვს ბოსტნეულის დასაწნილებლად საჭირო კასრები, არის მხოლოდ აუზები, რომელთა საერთო ტევადობა 25 ტონას შეადგენს. თითქმის არ მოეპოვებათ ბოსტნეულის გადასატანი საბრუნავი ყუთები, ეტლი ხელოვნურად ბოსტნეულის თანახმად კურორტვაჭრობა ვალდებული იყო ამ მხრივ დაეკმაყოფილებინა მეურნეობის მოთხოვნის სულ მცირე 50 პროცენტი.

სრულიად მოუწესრიგებელია ბოსტნეულით ვაჭრობა გაგრის კურორტვაჭრობის ქსელში. მისი ხაზით თითქმის არ არსებობს ბოსტნეულით საკავშირო არც ერთი კეთილმოწყობილი მაღაზია, რის გამო ზოგჯერ ბოსტნეულს გასაყიდად აძლევენ სასურსათო პროდუქტებით მოვაჭრე მაღაზიებს, რომლებიც ამ საქმისათვის მოუწყობელია. ეს სანიტარული თვალსაზრისითაც მიზანშეუწონელია.

მიუხედავად ბოსტნეულის სიჭარბისა, ქ. გაგრის რესტორანებში, სასადილოებში და კვების სხვა ობიექტებში ბოსტნეულს ვერ ნახავთ. გაგრის კურორტვაჭრობა კი საბჭოთა მეურნეობიდან ბოსტნეულის მიღებაზე ხშირად უარს აცხადებს.

გაგრის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობამ 267 ტონა ბოსტნეულის რეალიზაცია მოახდინა. ამ ბოსტნეულიდან გაგრის კურორტვაჭრობამ მხოლოდ 116 ტონა ჩაიბარა. ხელშეკრულების თანახმად კი ამ პერიოდში საბჭოთა მეურნეობიდან უნდა წაეღო 255 ტონა ბოსტნეული, მათ შორის 135 ტონა კომბოსტო და 48 ტონა პამიდორი.

ბოსტნეულის რეალიზაციის საქმეში ასეთი სიძნელეების გამო საბჭოთა მეურნეობაში მინდორზე აუღებლად დაიღუბა 90-100 ტონა კომბოსტო, 20-25 ტონა პამიდორი, გარდა ამისა პირუტყვის საკვებად გამოიყენეს სხვადასხვა ქალაქში გასაყიდად ხანგრძლივი გადატანის შედეგად წამხდარი პროდუქცია — 25 ტონა კომბოსტო, 11 ტონა პამიდორი და 13 ტონა სხვადასხვა ბოსტნეული.

ზემოაღნიშნული ფაქტებიდან ნათელია, თუ რამდენი ათეული ათასი მანეთის ზარალი ნახა საბჭოთა მეურნეობამ. ეს უარყოფითად მოქმედებს მეურნეობის მუშაობა ხელფასზეც.

გარდა ზემოაღნიშნული ზარალისა, ამჟამად შექმნილია ისეთი მდგომარეობა, რომ საბჭოთა მეურნეობას აღარ შეუძლია დროულად ჩაატაროს მეორე ბრუნვის ბოსტნეულის რგვა, ვინაიდან ფართობები, რომლებიც უკვე აღებული უნდა ყოფილიყო, ჯერ კიდევ დაკავებულია პირველი მოსავლის კულტურებით. კერძოდ, 5 ჰექტარზე აუღებელია კომბოსტო, რომელიც ყოველდღიურად ფუჭდება, ხოლო სხვადასხვა კულტურების ახალი ჩითილის დიდი ნაწილი უკვე გადამწიფდა.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა სათანადო წესრიგი უნდა დაამყარონ ბოსტნეულის რეალიზაციის საქმეში.

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

თბილისიდან გაემგზავრნენ საბერძნეთის პარლამენტის დეპუტატები

2 სექტემბერს თბილისიდან სოჭში გაემგზავრა საბერძნეთის პარლამენტის დელეგაციის წევრთა ჯგუფი, რომელიც საბჭოთა კავშირში სტუმრად არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

სტუმრების გასაცილებლად აეროდრომზე მოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. დ. კუპრაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. ს. როსტიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუპავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ. ს. ცომაკურიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დ. ვ. მჭედლიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარე მ. მ. ლელაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე, საქართველოს სსრ მინისტრები გ. ნ. ჯიბლაძე, ა. ლ. გუნია, ბ. ა. ჩხეიძე, მ. ყ. ლომიძე, გ. ა. რობაქიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ნ. უ. ჯაში, დ. გ. მამაცაშვილი, თ. ნ. მრევლიშვილი, ბ. ვ. ლორთქიფანიძე, შ. ლ. ჭანკოტაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პასუხისმგებელი მუშაკები, ჟურნალისტები. აეროვაგზლის შენობა მორთული იყო საბერძნეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვ. დ. კუპრაძემ და საბერძნეთის პარლამენტის დელეგაციის მეთაურმა ლ. ეფტაქსიასმა ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით. ბ-ნმა ლ. ეფტაქსიასმა დელეგაციის წევრთა სახელით მადლობა გადაიხადა გულითადი, მხურვალე მიღებისათვის.

— ყველგან, — თქვა მან, — ჩვენ ვგრძნობდით, რომ საბჭოთა ადამიანების სახით გვყავს კარგი მეგობრები. ჩვენმა მოგზაურობამ დაგვარწმუნა, რომ არაფერია იმაზე კარგი, ვიდრე პირადი კონტაქტები და ურთიერთობა. უშუალო კონტაქტები ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების, მშვიდობის საქმის განმტკიცების გზაა. (საქდესი).

კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელთა დასახმარებლად

კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ეკონომიური ეფექტურობა

ტექნიკური პროგრესი სოციალიზმის დროს შრომის ნაყოფიერების განუხრელი ამაღლების და ამ საფუძველზე პროდუქციის წარმოების ზრდის უმნიშვნელოვანესი პირობაა. გარდა ამისა, სოციალისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე ტექნიკურ პროგრესს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან უამისოდ შეუძლებელია გადავწყვიტოთ სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა — ისტორიულად მოკლე ვადაში დაველწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. ამ ამოცანის განხორციელება გარდუვალად მოითხოვს გავუსწროთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ტექნიკის განვითარების დონის მხრივაც.

არსად ისე ფართოდ და ხალისით არ იყენებენ მანქანებს, როგორც სოციალიზმის პირობებში, რადგან მათი გამოყენება ზრდის საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებას, ამსუბუქებს ადამიანის შრომას და ამაღლებს მის კულტურულ-ტექნიკურ დონეს. კაპიტალიზმის პირობებში ტექნიკის გამოყენება კაპიტალისტის მოგების მიზანს ემსახურება, ზრდის მშრომელთა ექსპლოატაციას, აუარესებს შრომის პირობებს და მანქანის უბრალო დანამატად აქცევს მუშას.

ტექნიკური პროგრესი სოციალიზმის დროს ძირფესვიანად ცვლის შრომის პროცესს იმ მხრივ, რომ მუშის საქმიანობაში სულ უფრო მეტად ძლიერდება გონებრივი ელემენტი, რასაც ობიექტურად მივყავართ მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის შემდგომ ამაღლებამდე, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციამდე.

მიუხედავად იმისა, რომ განვლილი ხუთწლედების პერიოდში ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა ფართოდ აღიჭურვა ახალი ტექნიკით, რამაც ხელი შეუწყო ძირითადი შრომატევადი პროცესების მექანიზაციას, ხელით შრომის მოცულობა მრეწველობაში ჯერ ისევ დიდია.

ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე წერდა, რომ მანქანური შრომით ხელის შრომის შეცვლაში მდგომარეობს ადამიანთა ტექნიკის მთელი პროგრესიული მუშაობა. რაც უფრო მეტად ვითარდება ტექნიკა, მით უფრო მეტად იდევნება ადამიანის ხელით შრომა, იცვლება რა მთელი რიგი სულ უფრო და უფრო რთული მანქანებით. ქვეყნის საერთო წარმოებაში სულ უფრო მეტ ადგილს იჭერენ მანქანები და მათ გასაკეთებლად საჭირო საგნები.

სოციალისტური ეკონომიკის განვითარებასთან ერთად მექანიზაცია სულ უფრო მეტად მოიცავს ყველა შრომატევად პროცესს ტექნოლოგიურ ჯაჭვში და კომპლექსური ხდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ისეთ ძირძმე და შრომატევად დარგებში, როგორც მაღნისა და ქვანახშირის ამოღებაა, მექანიზაციის დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა; მაგალითად, ქვანახშირის მონგრევა მთელ სსრ კავშირში 1955 წლისათვის მექანიზებული იყო 98,7 პროცენტით, საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში ქვანახშირის მონგრევა და სანგრევთა აწმენდა — 100 პროცენტით. სისტემატურად იზრდება სამთო მოსამზადებელი გამონამუშევრების მექანიზებული წესით გაყვანა. მაგალითად, მექანიზებული წესით გაყვანილი მოსამზადებელი გამონამუშევრების სიგრძე 1956 წელს 1950 წელთან შედარებით 4,5-ჯერ გაიზარდა.

წარმოების პროცესების მექანიზაცია საძლებლობას სწრაფად, ზუსტად, ობიექტურად და საიმედოდ მოქმედი ტექნიკით და მუშას წარმოების პროცესების საერთო ხელმძღვანელად ხდის. ამხანაგი ბულგანინი პარტიის XX ყრილობაზე აღნიშნავდა, რომ ავტომატიზაციის არსი საწარმოო პროცესებში მუშის ფიზიკური შრომის მინიმალური დახარჯვის განხორციელებით გამოიხატება, ავტომატიზაციის შედეგად მუშა თავისუფლდება მძიმე სამუშაოსაგან და მის მოვალეობას უმთავრესად წარმოების პროცესისადმი კონტროლი შეადგენს. ავტომატიზაცია მუშის შრომას აახლოებს ინჟინერ-ტექნიკოსის შრომასთან.

დამხმარე და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის შედარებით დაბალი დონე სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში დიდად აფერხებს ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვას. წარმოების პროცესების ავტომატიზაცია ზოგჯერ აუცილებელს ხდის მანქანებისა და მოწყობილობის მოდერნიზაციას და დაბალნაყოფიერი მანქანების გაბედულად შეცვლას. ამიტომ უკვე მოქმედ საწარმოთა ავტომატიზაციის საკითხი ყოველ ცალკე შემთხვევაში მისი განხორციელების ტექნიკური შესაძლებლობისა და ეკონომიური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით უნდა გადავწყვიტოთ.

ახალი ტექნიკის დანერგვის ეკონომიური ეფექტურობის განსაზღვრისათვის ძირითადად წარმოების ორ მთავარ ხარისხობრივ მაჩვენებელს იყენებენ: შრომის ნაყოფიერების ზრდას და თვითღირებულების შემცირებას.

ეკონომიური ეფექტურობის გამოანგარიშების დროს პრაქტიკაში უფრო ხშირად თვითღირებულების შემცირების მაჩვენებელს იყენებენ, რაც ყოველთვის ზუსტად ვერ ასახავს ახალი ტექნიკის გამოყენების ეკონომიურ ეფექტურობას.

ახალი ტექნიკის დანერგვა უდავოდ ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას, მაგრამ უფრო მეტად იგი მისი დამუშავების ხარჯებს ამცირებს. ამიტომ ახალი ტექნიკის დანერგვის ეკონომიური ეფექტურობის გაანგარიშების დროს პირველ რიგში მხედველობაში უნდა მივიღოთ დამუშავების ხარჯების შემცირების პროცენტი, რაც იმავე დროს შრომის ნაყოფიერების ზრდის მაჩვენებელსაც წარმოადგენს. ამრიგად, ახალი ტექნიკის დანერგვის ეკონომიური ეფექტურობის განსაზღვრის მთავარ მაჩვენებელს შრომის ნაყოფიერების ზრდა შეადგენს.

სკკპ XX ყრილობის დირექტივები სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს ცალკეული აგრეგატებისა და ოპერაციების ავტომატიზაციის ნაცვლად საამქროების, ტექნოლოგიური ხაზების ავტომატიზაციას და სავსებით ავტომატიზებული საწარმოების შექმნას, რაც ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფასა და წარმოების ორგანიზაციის შემდგომ გაუმჯობესებას მოითხოვს.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში ჭედვის ხუთი სახის უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიით შეცვლამ 1955 წელს სახელმწიფოს 171 ტონა ლითონი დაუზოგა და შრომის ნაყოფიერება ამ ოპერაციაზე 15 პროცენტით გაზარდა; ლითონდასამუშავებელი ჩარხების გადაყვანამ ჭრის გაუმჯობესებულ რეჟიმზე ამავე ქარხანაში შრომის ნაყოფიერება 10-15 პროცენტით გაზარდა და სამანქანო დრო სამუალოდ 30 პროცენტამდე შეამცირა.

ახალი ტექნიკის გამოყენების ეკონომიური ეფექტურობის საზომად იყენებენ მის დანერგვაზე გაწეულ კაპიტალურ დაბანდებათა ანაზღაურების ვადას. ცნობილია, რომ ახალი ტექნიკის დანერგვის ბაზაზე შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად შეფარდებით იზრდება განივთებული შრომის ხვედრითი წონა პროდუქციის თვითღირებულებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ პროდუქციის ერთეულის დამზადებაზე გაწეული კაპიტალური დაბანდება იზრდება. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალი ტექნიკის დანერგვისათვის გაწეული კაპიტალდაბანდების ანაზღაურების ვადის დადგენას. პრაქტიკულად ამ ვადის დასადგენად დაბანდებათა მოცულობას უფარდებენ ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად თვითღირებულების შემცირებით მიღებულ ეკონომიას. აქედან ცხადია, რომ რაც უფრო მეტად გაიზრდება შრომის ნაყოფიერება და შემცირდება თვითღირებულება, მით უფრო მოკლე დროის განმავლობაში ანაზღაურდება ახალი ტექნიკის დანერგვისათვის გაწეული დანახარჯები და პირიქით.

როგორც ცნობილია, ახალი ხუთწლედი შემდგომი მძლავრი ტექნიკური პროგრესის ხუთწლედია, რის საფუძველზეც შრომის ნაყოფიერება სსრ კავშირის მრეწველობაში სულ მცირე 50 პროცენტით გაიზრდება. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ღონისძიებებია დასახული საქართველოს მრეწველობაში. საქართველოს ქვანახშირის კომბინატის შახტებში ქვანახშირის მექანიზებულმა აწმენდამ მომხვეტ ტრანსპორტიორზე ხუთწლედის ბოლოს 40 პროცენტი უნდა შეადგინოს, ნაცვლად 1956 წლის 6 თვის განმავლობაში ფაქტიური 5,1 პროცენტისა.

მნიშვნელოვანი ამოცანები აქვს დასახული სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს ახალი ტექნიკის დანერგვის, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის საქმეში. მარტო ჩაის მრეწველობაში ხუთწლედის განმავლობაში უნდა გამართონ 95 ცალი ახალი ჩაისსაწნეხი მანქანები, რაც 60 მილიონი მანეთის ეკონომიას მისცემს სახელმწიფოს, ამავე ჩაის მრეწველობაში გამართავენ მწვანე ადურა ჩაის საწნეხ 12 ავტომატს, რაც 18 მილიონ მანეთ ეკონომიას მოგვცემს.

ამრიგად, ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვა, წარმოების პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია უდიდეს ეკონომიურ ეფექტს იძლევა. იგი ამცირებს პროდუქციის წარმოების შრომატევადობას და ამ გზით ზრდის შრომის ნაყოფიერებას, აუმჯობესებს შრომის პირობებს, ამსუბუქებს ადამიანის შრომას და ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

ამოცანა ის არის, რომ წარმატებით განვახორციელოთ სკკპ XX ყრილობის დირექტივები, უზრუნველვყოთ განუხრელი ტექნიკური პროგრესი, ფართოდ დანერგოთ წარმოების პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

თამარ ლაბაძე,
ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა ჩაის ფოთლის კრეფაში ჩამორჩენის დასაძლევად

* * *

წლიური გეგმის შესრულება საფრთხეშია

ჩაის კრეფის სეზონი დასასრულს უახლოვდება. ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებში კი მაინც შეუჩყნარებლად ნელი ტემპით განაგრძობენ მუშაობას, დაივიწყეს, რომ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულება 7.300.000 კილოგრამი ჩაის მოკრეფას ითვალისწინებს. 1 სექტემბრისათვის დამზადებულია 5.291.000 კილოგრამი.

ნაკისრი ვალდებულების განაღდება მოითხოვს ყოველდღიურად 63 ტონაზე მეტი ფოთლის ჩაბარებას, ფაქტიურად საშუალოდ დღეში 45-50 ტონა ფოთოლს კრეფენ, ზოგჯერ ნაკლებსაც. მაგალითად, 26 აგვისტოს მთლიანად რაიონში 7.029 კილოგრამი ჩაი მოიკრიფა.

კოლმეურნეობებში არიან წარჩინებული ადამიანები, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს კრეფის წლიური დავალება. ასეთები არიან ქვემო აკეთის კოლმეურნეობის წევრები ქ. მორჩილაძე, თ. ღლონტი, ნ. გოგელია, ა. მორჩილაძე, წყალწმინდიდან ნ. ჩავლეიშვილი, ლ. როყვა, ე. გოგოლაძე, ვ. გუჯაბიძე და სხვები. მაგრამ მათი მუშაობის ხერხებსა და მეთოდებს ყველა მეჩაიე არ იცნობს, სუსტად იხერგება მოწინავე გამოცდილება. ამის შედეგია, რომ ბევრ კოლმეურნეობაში ძველებურად განაგრძობენ მუშაობას და თავს ვერ აღწევენ ჩამორჩენას.

სოფელ არჩეულის ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობაში 28 აგვისტოს დილის 8 საათზე არც ერთი მეჩაიე არ იყო საკრეფად გამოსული, ხოლო პირველი ბრიგადის ხელმძღვანელი მ. მარგალიტაძე 9 საათზე ძლივს გავაღვიძეთ. მან დამშვიდებით განაცხადა, ჯერ დილის ცვარი არ გამშრალა, მკრეფავები ფოთლის საკრეფად როგორ უნდა წავიდნენო. ამის შემდეგ რა გასაკვირველია, რომ ბრიგადაში შრომა მოუწესრიგებელია. კოლმეურნეები სისტემატურად აცდენენ სამუშაო დღეს. უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში აქ გაცდენილია 405 კაცდღეზე მეტი. ამიტომ არის, რომ ბრიგადას ჩაის კრეფის დავალება 71 პროცენტით აქვს შესრულებული. აგვისტოში ქვეყანას დააკლეს ტონობით ჩაი.

კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე მ. აფხაზავა), პარტიული ორგანიზაციის ბიურო (მდივანი კ. მოისწრაფეშვილი) ივიწყებენ ჩაის დარგში ნაკისრი იმ ვალდებულების შესრულებას, რომელიც აქაურმა კოლმეურნეებმა იკისრეს მეზობელი სოფლის ნიგვზიანის კოლმეურნეობის წევრებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას. მათი ვალდებულება სეზონში 220.000 კილოგრამი ჩაის ფოთლის დამზადებას ითვალისწინებს. დღემდე მხოლოდ 129.408 კილოგრამი აქვთ ჩაბარებული, რაც წლიური გეგმის 64 პროცენტს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 50.000 კილოგრამზე მეტი ფოთოლი დააკლეს სახელმწიფოს. უკანასკნელ ოც დღეში მეჩაიეების მიერ გაცდენილია 245 კაცდღე. კოლმეურნეები ნ. ქილიფთარი, ვ. აფხაზავა, თ. გეგიაძე და სხვები ფოთოლს არ კრეფენ, მაშინ როცა კოლმეურნეობამ დაქირავებულ მუშახელზე 35.000 მანეთი დახარჯა. აქვე უნდა ითქვას, რომ პარტიის ლანჩხუთის რაიკომის ინსტრუქტორი მტსკის ზონაში ამხ. ს. ზენაიშვილი საფუძვლიანად არ იცნობს კოლმეურნეობის ეკონომიკას. იგი იშვიათად დადის ამ კოლმეურნეობაში.

ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც გვიმბალაურის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაშია (თავმჯდომარე ა. იმნაძე). აქ კრეფის აგვისტოს დავალება სანახევროდაც არ არის შესრულებული.

26 აგვისტოს დროგამოშვებით ოდნავ წვიმდა. ამ დღეს ქვიანის, ჩოლაბარგის, ნიგოითის, მაჩხვარეთის, ორაგვეს, ეწერის, ახალსოფლის და სხვა კოლმეურნეობებში არც ერთი კილოგრამი ფოთოლი არ მოუკრეფიათ, კრეფა კი შეიძლებოდა. ამ დღეს ქვემო აკეთში 1.529 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი ჩაბარეს სახელმწიფოს. ისეთ პატარა კოლმეურნეობაშიც კი, როგორიც წყალწმინდაა, 539 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფეს.

რაიონის საწარმო-დაწესებულებები სუსტად ეხმარებიან კოლმეურნეობებს, ხან კი მათი დახმარება ფორმალურია. ამას წინათ სოფელ მამათის კოლმეურნეობაში რაიონის ცენტრიდან 70-მდე მუშა-მოსამსახურე ჩავიდა დასახმარებლად. მთელ დღეს მათ მხოლოდ 100 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს.

შემჩნეულია, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჩაის პლანტაციებისათვის განკუთვნილ აზოტოვან სასუქებს სიმინდის ყანებში ხარჯავენ, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა პლანტაციებში ფოთლის შემოსვლა. ამ საკითხისათვის რაიონის ხელმძღვანელობას ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია, იგი მსჯელობის საგნად არ გაუხდია.

ლანჩხუთელმა მეჩაიეებმა აგვისტოც დიდი გარღვევით დაამთავრეს. წლიური გეგმის შესრულება აშკარა საფრთხეშია. როდემდის შეურიგდებიან პარტიის ლანჩხუთის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი ასეთ ჩამორჩენას?

ბ. ჩხაიძე,

„კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტი.

ჩაის კრეფაში დაკრედიტებულნი

2 სექტემბერი	
წულუკიძის რაიონი	
ოლია ჯანელიძემ წულუკიძის ვ. სტურუას სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 40 კილოგრამი ჩაი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 კილოგრამისა. სულ მოკრეფილი აქვს 3.000 კილოგრამი. წლიური გეგმით უნდა მოეკრიფა 1.200 კილოგრამი.	
აღათი ლეთოდიანი ამავე კოლმეურნეობაში ჩაის კრეფის დღიურ დავალებას ორმაგად ასრულებს, უკვე მოკრიფა 1.000 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 500 კილოგრამისა.	
ვერა შალამბერიძე მუშაობს სოფელ ოვანდიდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. მან მოკრიფა 25 კილოგრამი ფოთოლი და ამით დღიურ ნორმას 10 კილოგრამით გადააჭარბა. სულ მოკრეფილი აქვს 2.290 კილოგრამი ჩაი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.200 კილოგრამისა.	
წალენჯიხის რაიონი	
თინა ჭანტურიამ სოფელ ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 58 კილოგრამი ჩაი და ამით დღიურ ნორმას 38 კილოგრამით გადააჭარბა. სულ მოკრეფილი აქვს 4.500 კილოგრამი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.000 კილოგრამისა. ამხ. ჭანტურია იბრძვის იმისათვის, რომ სულ სეზონში მოკრიფოს 6.000 კილოგრამი ჩაის ნედლეული.	
თინა ქარდავამ ამავე სოფლის კოლმეურნეობაში მოკრიფა 51 კილოგრამი ფოთოლი, სულ დღემდე კი — 4.250 კილოგრამი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.000 კილოგრამისა.	

ნაკისრი ვალდებულებები დაივიწყეს

წყალტუბოს რაიონში 1 სექტემბრისათვის ჩაის კრეფის წლიური გეგმა შესრულებული იყო 77,9 პროცენტით, ნაცვლად 1.150 ტონისა მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 895,3 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი.

წყალტუბოელი მეჩაიეები განსაკუთრებით ჩამორჩნენ აგვისტოს გეგმის შესრულებაში. ამ რიცხვისათვის აგვისტოს დავალება წინა თვეების დანაკლისს ჩათვლით შესრულებულია მხოლოდ 45,5 პროცენტით.

შეიძლებოდა თუ არა თავიდან აგვეცილებინა ეს ჩამორჩენა? ნამდვილად შეიძლებოდა, ყველა კოლმეურნეობასა და მის ხელმძღვანელებს მონდომებით რომ ემუშავნა ჩაის ფოთლის კრეფაზე, მოეწესრიგებინა შრომა.

იმ კოლმეურნეობებმა, რომლებმაც ზუსტად განახორციელეს აგროღონისძიებები, წარმატებაც მოიპოვეს ნედლეულის დამზადებაში.

ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა რაიონში ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა მაღლაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. ჯავახაძე), რომელმაც 30 აგვისტოსათვის ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 70 ტონისა მოკრიფა და ჩაის ფაბრიკას ჩააბარა 74 ტონაზე მეტი ნედლეული, გეგმა 106,2 პროცენტით შეასრულა.

ასევე წარმატებით შეასრულა წლიური დავალება ფარცხანაყანევის ოდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. თევდორაძე). კოლმეურნეობაში მოკრეფილია 21 ტონა ჩაის ფოთოლი, წლიური გეგმა კი 18 ტონას ითვალისწინებდა.

იმ კოლმეურნეობებმა კი, რომელთა ხელმძღვანელები „ობიექტურ“ მიზეზებს გამოიდევნენ, კრეფის სეზონის დაწყებიდან ვერცერთ თვეში ვერ შეასრულეს გეგმა და სამარცხვინოდ ჩამორჩებიან.

ეს პირველ რიგში ითქმის სოფელ გუმბრის ვორონცოვის სახელობის კოლმეურნეობაზე. ამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ს. გორდულაძე და პარტიული ორგანიზაციის მდივანი ქ. გურგენიძე მთელ ძალებს არ რაზმავენ ჩაის ფოთლის კრეფის ტემპის გასაძლიერებლად.

ამით აიხსნება, რომ კოლმეურნეობას ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა დღეისათვის შესრულებული აქვს მხოლოდ 67,1 პროცენტით. წლის დასაწყისში ამ კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით მოეკრიფა 170 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სამწუხაროდ, აქ დაივიწყეს აღებული ვალდებულებანი. ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულებაში ყველა ბრიგადა ჩამორჩება. პირველ, მესამე და მეოთხე ბრიგადებს კრეფის წლიური გეგმები სანახევროდაც არა აქვთ განაღდებული. პირველ ბრიგადაში (ბრიგადირი ა. კოღუაშვილი) აგვისტოს განვლილ პერიოდში არც ერთხელ არ გამოსულა სამუშაოზე 21 კოლმეურნე. ჩაის მკრეფავებს ქსენია ჩოგოვაძეს, თამარ თანცხავას და ელენე მელაძეს არც წინა თვეებში უმუშავნიათ. მსგავსი მდგომარეობაა მესამე (ბრიგადირი ტ. თორთლაძე) და მეოთხე (ბრიგადირი გ. გელენიძე) ბრიგადებშიც. 64-66 ქალიდან ამ ბრიგადებში ჩაის კრეფაში მონაწილეობს მხოლოდ 24-26.

ნედლეულის დამზადების ამ ცხარე დღეებში შრომისუნარიანი მუშახელი მთლიანად არ არის გამოყენებული სხვა საწარმოო ბრიგადებშიც. მაგალითად, მეორე ბრიგადის ხელმძღვანელის ვ. ჩოგოვაძის და მეოთხე ბრიგადის ხელმძღვანელის გ. გელენიძის მეუღლეები გაურბიან ჩაის ფოთლის კრეფას.

საკოლმეურნეო შრომაში არ მონაწილეობენ აგრეთვე კოლმეურნეობის გამგეობის წევრის დ. ბალანჩივაძის, მეხუთე ბრიგადის ხელმძღვანელის, იგივე პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის ქ. გურგენიძის და კომუნისტ ვ. თუთბერიძის მეუღლეები.

უფრო მეტიც: პარტიის წევრები ლეო და ნესტორ გურგენიძეები სისტემატურად არ მონაწილეობენ საკოლმეურნეო შრომაში, არ ეხმარებიან არტელის გამგეობას ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულებაში.

როგორც ჩანს, ს. გორდულაძესა და ქ. გურგენიძეს არ უშვილა იმან, რომ პარტიის რაიკომის ბიუროს მკაცრად დასაჯა ისინი ჩამორჩენისათვის და შრომის დისციპლინის მოუგვარებლობისათვის.

ასეთ მდგომარეობას უნდა ჩაუფიქრდნენ წყალტუბოელი მეჩაიეები და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები. მათ ყველა შესაძლებლობა უნარიანად უნდა გამოიყენონ წლიური გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

დ. გაბრიაძე,

გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ რედაქტორი.

ჩაის ფოთლის დამზადება

აგვისტო ისე დამთავრდა, რომ სუბტროპიკული რაიონების მეჩაიეებმა არსებითი გარღვეცა ვერ მოახდინეს ჩაის ნედლეულის კრეფა-დამზადების წლიური გეგმის შესრულებაში. თუ 26 აგვისტოსათვის წლიური დავალება შესრულებული იყო 75 პროცენტით, აგვისტოს უკანასკნელ ხუთდღიურში მატება შეადგენს მხოლოდ 3,7 პროცენტს.

მახარაძის რაიონში წლიური დავალება შესრულებულია 83 პროცენტით, ქობულეთის — 80,3, ზუგდიდის — 75,3, გალის — 76,1, ლანჩხუთის — 74,5, გეგეჭკორის — 76,9, ოჩამჩირის — 78,1, წალენჯიხის რაიონში — 79,8 პროცენტით.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მეჩაიეობის სხვა რაიონებშიც. ბათუმის რაიონში ჩაის კრეფის წლიური დავალება შესრულებულია 83,4 პროცენტით, გულრიფშის — 83,8, სოხუმის — 71,2, გუდაუთის — 69,9, ჩოხატაურის — 90,7, სამტრედიის — 69,7, წულუკიძის — 68,8, ქუთაისის — 59,2, წყალტუბოს — 77,9, ტყიბულის — 64,6, ცხაკაიას — 74,5, აბაშის — 72,8, ჩხოროწყუს — 84,8, ხობის რაიონში — 77 პროცენტით. თერჯოლის, ზესტაფონის რაიონებს ჩაის კრეფაში მცირე დავალება აქვთ, მაგრამ ეს დავალებაც არ სრულდება.

★

მახარაძის რაიონის სოფელ ზვანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მეცხრე კლასის მოსწავლემ ნუნუ დანელიამ საზაფხულო არდადეგების პერიოდში მოკრიფა 2.100 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.600 კილოგრამისა.

სურათზე: ნ. დანელიას მოკრეფილი ჩაი ჩასაბარებლად მიაქვს მიმღებ პუნქტში.

ფოტო შ. გოქაძისა.

ახალი სასწავლო წლის პირველი დღეები



სურათზე: თბილისის მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელი დ. ძაგნიძე მეცადინეობას ატარებს პირველ კლასში.

ფოტო ვ. თავართქილაძისა.

პირველი გაკვეთილი

ახალი სასწავლო წლის პირველი გაკვეთილიდანვე შეუდგა თბილისის 23-ე სკოლა ორგანიზებულ სწავლას. პედაგოგების და ხელმძღვანელთა მთელმა კოლექტივმა ამაზე დროულად იზრუნა: უფროს კლასებში მანქანამცოდნეობისა და ელექტროტექნიკის პრაქტიკუმებისათვის მზად დახვდათ ბავშვებს დაზგები და ხელსაწყოები, სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმისათვის კი — ბაღში და ბოსტნში სამუშაოდ მიწის ნაკვეთი ელოდებათ. სწორედ ბავშვებმა მოირთეს სკოლის აივანი თავიანთ მიერ გამოყვანილი და გახარებული ყვავილებით. ამ აივნიდან ეზოში თავმოყრილ მოსწავლეებს მიესალმა სკოლის დირექტორი თ. ხელაშვილი, მიუღოცა სასწავლო წლის დაწყება, უსურვა სწავლაში ბეჯითობა, ჯანმრთელობა, სამაგალითო ყოფაქცევა.

მაგრამ რაც უნდა აწყობილი იყოს საქმე, ამ დღეს მაინც არის პატარა დამახასიათებელი განცდები და ზოგჯერ ცხარე ცრემლების ღვრაც, უნებურ ღიმილს რომ ჰგვრის ადამიანს და თავისებურ ელფერს აძლევს სწავლის პირველ დღეს. ეს გახლავთ სკოლაში პირველად ფეხშედგმული ბავშვები.

ბოლო დღეებში და განსაკუთრებით ამ დილას, სახლი რომ დაფორიაქეს სკოლაზე ოცნებით, ახალი ჩანთები რომ გაიმზადეს და გულის ფანცქალით თავი მოიყარეს სკოლის ეზოში, ახლა ზოგი მათგანი შემკრთალია, გაოგნებული ვეღარ სცილდება მშობელს და მასაც ეწევა კლასისაკენ. მშობლებიც შვილებზე არანაკლებ ღელავენ, ამიტომ დასტრიალებს მათ გულისხმიერებით სამი მასწავლებელი: ე. სანიკიძე, ე. ციცაგი და ზ. ციცაშვილი. ამ წუთიდან მათ პირველკლასელებს დედობაც უნდა გაუწიონ და მასწავლებლობაც.

მრავალი ჩვეული და წესი აქვთ შესასწავლი პირველკლასელებს: მერხზე გამართული ჯდომა, მერხის კალთის წყნარად გადაკეცვა, პასუხისათვის თითის აწევა... და მათ სასახელოდ უნდა ითქვას, უმალვე შეითვისეს ყოველივე,—მეორედ დარიგება უკვე აღარც სჭირდებათ. პატარა ექსკურსიაც კი მოაწყეს სკოლის შენობაში: ნახეს, სად იყო ბიბლიოთეკა, სასაუზმე...

შემდეგ გაკვეთილებზე კლასოტში ჩადგა პირველკლასელების სწავლაც; გაიცნეს ერთმანეთი და ყოჩაღად უპასუხებენ მასწავლებლებს: ამ ზაფხულის შთაბეჭდილება მახლობელი და ნაცნობია ყველა მათგანისათვის; აი ოთარი, ერთი საათის წინ ცხარე ცრემლებით რომ ტიროდა, დიდედას მკლავს რომ ჩასჭიდებოდა, ახლა დამშვიდებით უამბობს მასწავლებელს, როგორ ისვენებდა სოფელში ბორჯომის მახლობლად:

— მე ბქ მომეწონა ტყე, ტყეში სუფთა ჰაერია... ფიჭვის და ნაძვის სუნია!

— იქ ლამაზი ყვავილებია! — უმატებს მანანა.

— კიდევ, ტყეში ჩიტების ჭიკჭიკი ისმოდა! — მიუხვდა მასწავლებლის შეკითხვას მედეა.

არც ლექსების თქმაზე დაიმორცხვეს პირველკლასელებმა. განსაკუთრებით საბავშვო ბაღიდან მოსულებმა ისახელეს თავი:

მივყვებით და კვლავ
გავყვებით
ჩვენ ლენინის გზასს —

გაისმის ლალის, ვიქტორის, მარიკოს წკრიალა ხმები.

დიდ საანგარიშოსთან რიგრიგობით გადიან; თამრიკო, ნუკრი, გურამი ათამდე ითვლიან და მარდად ანგარიშობენ: „ბავშვს რომ ორი წიგნი ჰქონდა, ორიც დედამ აჩუქა, სულ რამდენი წიგნი ექნებოდა?“

მესამე გაკვეთილზე ოდნავი დაღლა დაეტყოთ პატარებს; დღეს ხომ ადრიანად წამოფრენილან, თანაც მზეს ზაფხულის მცხუნვარება არ დაუკარგავს, ამას დაერთო ახალი შთაბეჭდილებები... ამიტომ წამოდგა კლასი ფეხზე და ტანვარჯიშით გაერთო.

ეზოში სამი წლის სტუმარიც მოსულა.

— რა გქვიან? — შეეკითხნენ.

— გია!

აბა, გია მას კი არ ჰქვია, არამედ მის ძმას, ახლა პირველ კლასში რომ ზის,—იმას ეძახს სამი წლის ირაკლი. აი სადაც არის გაიწკრიალებს ზარი, და ასვენებაზე გამოსულ უკვე მოსწავლე გიას პატარა ძმაკო ყელზე მოეკიდება.

ჯერ კი სიწყნარეა, ოღონდ მესამე კლასიდან, სადაც სიმღერის პირველი გაკვეთილია, მოისმის მწყობრად:

ჩვენო პატარა გუგულო,
პატარა მატარებელო,
მთელი ბორჯომის ხეობის
ბავშვების გამხარებელო!

მაყვალა მრევლიშვილი.

ორგანიზებულად დაიწყეს

ჯერ კიდევ დილით ადრე გამოცოცხლდა თბილისის 62-ე საშუალო სკოლის ეზო. აქ მოვიდა 1.700 მოსწავლე და ბევრი მშობელი. მოეწყო სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი სახელდახელო მიტინგი, რომელიც გახსნა სკოლის დირექტორმა გ. ონიანმა. მოსწავლეებსა და მშობლებს სიტყვით მიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ყუფარაძემ. ისტორიის მასწავლებელმა ვ. კუტალაძემ ბავშვებს მიულოცა ახალი სასწავლო წელი და სწავლაში წარმატება უსურვა.

დაირეკა ზარი. მოსწავლეები სიხარულით გაეშურნენ კლასებში. 170 მოსწავლე პირველად მიუჯდა მერხს და მორიდებით გადაშალა „დედაენა“. უფროსი კლასების მოსწავლეებმა ყურადღებით მოისმინეს ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკის და სხვა საგნების გაკვეთილები.

სკოლის დირექცია კარგად მოემზადა ახალი სასწავლო წლისათვის. ჩატარებულია შენობისა და ინვენტარის მიმდინარე რემონტი, შეძენილია ახალი ავეჯი, დაფები. სკოლასთან მოეწყო სასწავლო-საცდელი ნაკვეთი, პოლიტექნიკური სწავლების მიზნით ორი ოთახი გამოუყვეს სახელოსნოს.

მეფაღურგთა ქალაქში

რუსთავი. (საკ. კორ.). 1 სექტემბერს რუსთავის 19 სკოლაში ზარის წკრიალმა 5 ათასზე მეტ მოსწავლეს ამცნო ახალი სასწავლო წლის დაწყება.

ბავშვთა ჟრიამულით გამოცოცხლებულ ქუჩებში ადრიანად გამოვიდა მეტალურგიული ქარხნის რკინიგზის საამქროს მუშა-ორთქლმავლის მემანქანის თანაშემწე როსტომ ბარათაშვილი. მას გვერდით პატარა გოგონა ნარგიზი მიჰყვება. ბოსტან-ქალაქის ქუჩასთან გაიყარა მამა-შვილის გზები — როსტომი გაემართა მეტალურგიული ქარხნის მუშა ახალგაზრდობის სკოლისაკენ, სადაც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მე-11 კლასში სწავლობს, ნარგიზმა კი ამავე დღეს მე-14 სკოლის მე-4 კლასის კარი შეაღო. მამა-შვილი ერთმანეთს ეჯიბრებიან საუკეთესო სწავლაში.

მუშა ახალგაზრდობის ამავე სკოლის მარტო მე-11 კლასებში 120 მეტალურგი, მშენებელი და სხვა პროფესიის ადამიანი სწავლობს.

1-ლი საშუალო სკოლა ქ. რუსთავის თანატოლია. ეს სკოლა მუშაობას ჯერ კიდევ მაშინ შეუდგა, როცა რუსთავის უდაბურ ველზე პირველ მშენებელთა კარვები იყო გაშლილი. მაშინ სკოლაში 40-მდე მოსწავლე იყო, ამჟამად მოსწავლეთა რაოდენობა 800-ზე მეტია. ამ სკოლაში აღზრდილი ახალგაზრდები წარმატებით სწავლობენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ოდესის, ბაქოს და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

წელს რუსთავში დამატებით ორი სკოლა გაიხსნა.

გორდის სკოლა-ინტერნატი

უმშვენიერესი ადგილი შეურჩევიათ სკოლა-ინტერნატისათვის. ეს არის სამოცდათხუთმეტ ჰექტარზე გადაქმული მარადმწვანე მცენარეებიანი ტყე-პარკი.

საუკეთესო მდებარეობით სახელგანთქმულ ტყეპარკს ქივილ-ხივილით მოეფინენ ბავშვები. აქ ისწავლიან, აღიზრდებიან და შრომითს ჩვევებს მიიღებენ ისინი.

პირველი სექტემბერი, პირველი ზარი. გორდის სკოლა-ინტერნატი მუშაობას შეუდგა. აღსაზრდელებს გულთბილად და სიყვარულით შეეგება აღმზრდელთა და პედაგოგთა კოლექტივი, რომელიც აღსავსეა სურვილით აღზარდოს კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლები.

* * *

სკოლა-ინტერნატში 10-14 წლის ასაკის ასი ბავშვი სწავლობს. მუშაობენ მე-4, მე-5, მე-6, მე-7 კლასები. ბავშვები აქ მიიღებენ ზოგადსაგანმანათლებლო და პოლიტექნიკურ ცოდნას, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას. სკოლა-ინტერნატში სასწავლო მუშაობის ძირითადი პრინციპი იქნება სწავლების შეერთება საწარმოო შრომასთან, აღსაზრდელთა ასაკის გათვალისწინებით.

ინტერნატის დირექტორი ამხ. ა. ძიძავა ამბობს: — აღმზრდელთა და პედაგოგთა კოლექტივი მეტად პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგას. ჩვენ მუშაობა გვიხდება ახალი ტიპის სასწავლო დაწესებულებაში, ეს კი იოლი საქმე როდია. კადრების შერჩევისას ვითვალისწინებდით პედაგოგთა გამოცდილებასა და დახელოვნებას. სწორედ ასეთი მაღალკვალიფიციური მასწავლებლებით დავაკომპლექტეთ სკოლა.

სკოლა-ინტერნატის შექმნასთან დაკავშირებით, — განაგრძობს დირექტორი, — გარკვეული მუშაობა გავწიეთ. ძირითადი კორპუსის რემონტი, რაც ავლისში დავიწყეთ, დასრულდა. გადავაკეთეთ სახურავი, შევაკეთეთ იატაკი, ჭერი. ძირითად კორპუსში მოეწყო ბავშვთა რვა საცხოვრებელი და ოთხი საკლასო ოთახი. აქვე არის კლუბი, სასადილო. სასწავლებელი უზრუნველყოფილია სათანადო რაოდენობის ახალი მერხებით, აღსაზრდელთა საწოლებით, ლოგინებით, თეთრეულით, ბავშვთა ტანსაცმელითა და ყველა სხვა საჭირო ნივთითა და ინვენტარით, რაც ხელს შეუწყობს სწავლა-აღზრდის ნორმალურად წარმართვას.

აღსაზრდელები იშრომებენ სკოლის სასწავლო-საცდელ მიწის ნაკვეთზე, სახელოსნოში. ინტერნატის ტერიტორიის 12 ჰექტარი განკუთვნილია სახნავ-სათესად. სასწავლო-საცდელ ნაკვეთს დაეთმო 3 ჰექტარი, აქედან 1,5 ჰექტარი ხეხილის ბაღია. აღსაზრდელები შეისწავლიან მემინდვრეობის, მეფუტკრეობისა და მეხილეობის სპეციალობებს.

ეწყობა სასპორტო მოედნები და სარბენი ბილიკები. ამუშავდება 60-ცხენძალიანი მოძრავი ელექტროსადგური. ელექტროფიცირებული იქნება არა მარტო ინტერნატი, არამედ მთელი გორდი. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. იმის გამო, რომ დროულად ვერ დაფინანსდა სკოლა-ინტერნატი, შეფერხდა დამხმარე სათავსების მშენებლობა-აღდგენა. დაუმთავრებელია მასწავლებელთა სახლი, აკლიათ საშენი მასალები.

ცნობილია, რომ პრაქტიკული მოღვაწეობისათვის აღსაზრდელთა მოსამზადებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათ მიერ შრომითი ჩვევების დაუფლებას სახელოსნოებში. აქ გათვალისწინებულია სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოების მოწყობა, მაგრამ მათი მშენებლობა შეუწყნარებლად ჭიანურდება, ხოლო სახელოსნოების მოწყობილობა ჯერაც არ შეუძენიათ.

აღსანიშნავია, რომ სკოლა-ინტერნატისათვის გათვალისწინებული ბინა მთლიანად ვერ აკმაყოფილებს სასწავლებლის მოთხოვნილებებს. ამის გამო ზოგიერთი კაბინეტის გახსნა წელს არ ხერხდება.

წულუკიძე-გორდის გზა კეთილმოწყობილი არ არის. მას კაპიტალური რემონტი სჭირდება, განსაკუთრებით სოფლების ხიდისა და ქვედა გორდის მონაკვეთზე.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან აუცილებელი პირობები შეუქმნან ინტერნატს ნაყოფიერი მუშაობისათვის, ხოლო სამეურნეო და სამრეწველო საწარმოების ღირსების საქმეა სკოლისადმი შეფობა იკისრონ და დახმარება გაუწიონ მას.

1957 წლისათვის განზრახულია აიგოს სკოლის ახალი შენობა 500 ბავშვისათვის და საცხოვრებელი სახლი მუშა-მოსამსახურეებისათვის. ამ საქმეზე რამდენიმე მილიონი მანეთი დაიხარჯება.

სკოლა-ინტერნატში პირველ რიგში მიიღეს უდედ-მამო ბავშვები, მარტოხელა დედების, სამამულო ომისა და შრომის ინვალიდების შვილები. მათთვის აქ ყველა პირობა იქნება შექმნილი სწავლა-აღზრდისათვის, საუკეთესო შრომითი ჩვევების გამომუშავებისათვის.

მთელ საბჭოთა კავშირში პირველ სექტემბერს ფართოდ გაიღო აღზრდის ახალი სისტემის კერების — 285 სკოლა-ინტერნატის კარები. ჩვენს რესპუბლიკაში პირველად შეუდგა მუშაობას ხუთი სკოლა-ინტერნატი, რომლებიც მნიშვნელოვან სასწავლო-აღმზრდელობითს დაწესებულებებს წარმოადგენენ. სტუმართმოყვარულად მიიღეს მათ თავიანთი აღსაზრდელები. მშობლიური სითბოთი და სიყვარულით შეეგება თვალციმციმა გოგონებსა და ბიჭებს გორდის სკოლა-ინტერნატიც.

ე. ჯაფარიძე,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

მშვიდობის საერთაშორისო პრემია გადაეცა ჩინელ მხატვარს ცი ბაი-შის

პეკინი, 1 სექტემბერი. (საკდესი). დღეს პეკინში ცნობილ ჩინელ მხატვარს ცი ბაი-შის გადაეცა მშვიდობის 1955 წლის საერთაშორისო პრემია, რომელსაც მშვიდობის მსოფლიო საბჭო აკუთვნებს ლიტერატურის, ხელოვნებისა და კინემატოგრაფიის დარგის საუკეთესო ნაწარმოებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას.

საზეიმო კრებაზე, რომელიც ამ შემთხვევის გამო გაიმართა, გამოვიდა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მშვიდობის დაცვის ჩინეთის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარე გო მო-ჟო, რის შემდეგ მშვიდობის საერთაშორისო პრემიების მიმნიჭებელი საერთაშორისო ჟიურის წარმომადგენელმა მაო დუნმა დამსწრეთა ტაშის გრიალში ცი ბაი-შის გადასცა მშვიდობის მსოფლიოს საბჭოს სიგელი პრემიის მინიჭების შესახებ და თვით პრემია. დაჯილდოებულს გულთბილად მიესალმნენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნოს წარმომადგენელი, ჩინელ მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ე. ციან-იუი.

მხატვარმა 96 წლის ცი ბაი-შიმ სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა. მან განაცხადა, რომ მთელ თავის ძალღონეს შესწირავს ჩინური ეროვნული ფერწერის შემდგომი განვითარების საქმეს, ხალხთა შორის კულტურული ურთიერთობის გაფართოებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეს.

ცი ბაი-შიმ ნახევარი პრემია გადასცა ფონდს, რომელიც განკუთვნილია ჩინური ეროვნული ფერწერის ნაწარმოებთა დასაჯილდოებლად.

ფარნბოროს საავიაციო გამოფენაზე

2 სექტემბერს „ტუ—104“ თვითმფრინავით ინგლისში გაფრინდა საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალების დელეგაცია, რომელიც მიწვეულია ფარნბოროს (ჰემპშირი) ყოველწლიურ საავიაციო გამოფენაზე. დელეგაციაში, რომელსაც მეთაურობს სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალი, ავიაციის მთავარი მარშალი პ. ფ. ჟიგარევი, შედიან: ავიაციის მარშალი ვ. ა. სუდეცი, ინჟინერ-ტექნიკური სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი ა. ნ. პონომარიოვი, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ა. ს. ბლაგოვეშჩენსკი. დელეგაციას ახლავან ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ს. პ. სინიაკოვი და ავიაციის გენერალ-მაიორი მ. ი. მარტინოვი.

ფარნბოროს გამოფენას აწყობს ბრიტანელ ავიაკონსტრუქტორთა საზოგადოება. ომისშემდგომ დროის განმავლობაში საბჭოთა წარმომადგენელი პირველად ეწვევიან გამოფენას. გამოფენაზე, თვითმფრინავების და ხმელეთზე მათი მოწყობილობის ჩვენების გარდა განზრახულია მოეწყოს სადემონსტრაციო ფრენა. თავისი ვიზიტის დროს საბჭოთა დელეგაცია ეწვევა აგრეთვე ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების მთელ რიგ ნაწილებსა და დაწესებულებებს.

საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალების დელეგაციის გარდა, ფარნბოროს გამოფენის დასათვალიერებლად გაფრინდა აგრეთვე სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სამინისტროს დელეგაცია მინისტრ პ. ვ. დემენტიევის მეთაურობით. (საკდესი).

ინგლისში ჩავიდა სსრ კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალების დელეგაცია

ლონდონი, 2 სექტემბერი. (საკდესი). ინგლისში გაფრინდა საბჭოთა საავიაციო მრეწველობის სპეციალისტთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალი, ავიაციის მთავარი მარშალი პ. თ. ჟიგარევი. ლონდონის აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსის მოადგილე ავიაციის მთავარი მარშალი სერ რონალდ ჰოველ-ჩეშენი და ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების სხვა მაღალი თანამდებობის ოფიცრები, აგრეთვე სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული დიდ ბრიტანეთში ა. ა. როშჩინი და სხვა ოფიციალური პირები.

ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრი აბდულგანი საბჭოთა კავშირში გამოფრინდა

ლონდონი, 3 სექტემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი ჯაკარტიდან იუწყება, გუშინ საბჭოთა კავშირში გაფრინდა ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრი რუსლან აბდულგანი. აბდულგანი შეეერთდება რესპუბლიკის პრეზიდენტ სუკარნოს, რომელიც ამჟამად სტუმრად არის საბჭოთა კავშირში.

ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება

გერმანიის კომპარტიის აკრძალვის შესახებ

პეკინი, 2 სექტემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტო იუწყება, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა და სამდივნოს უფროსმა დენ სიაო-პინმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით სინხუას საგენტოს კორესპონდენტს გაუკეთა განცხადება დასავლეთ გერმანიის მთავრობის მიერ გერმანიის კომუნისტური პარტიის დევნის გამო. განცხადებაში ნათქვამია:

გერმანელი ხალხის სურვილის წინააღმდეგ და მსოფლიო საზოგადოებრიობის პროტესტის მიუხედავად, დასავლეთ გერმანიის მთავრობამ 1956 წლის 17 აგვისტოს კანონგარეშე გამოაცხადა გერმანიის კომუნისტური პარტია და გააძლიერა გერმანელი კომუნისტების დევნა. ამავე დროს აღშობს დასავლეთ გერმანიის სხვა დემოკრატიულ ჯგუფებსა და პროგრესულ ორგანიზაციებს.

ამ აქტმა, რომელიც ჰიტლერული რეაქციისა და ფაშისტური ტეროორის დროს მოგვაგონებს, ჩინელი ხალხის ღრმა აღშფოთება გამოიწვია. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ამასთან დაკავშირებით მტკიცე პროტესტს უცხადებს დასავლეთ გერმანიის მთავრობას.

შემთხვევითი როდია, რომ დასავლეთ გერმანიის ხელისუფლები სდევნიან გერმანელ კომუნისტებს. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დასავლეთი გერმანია თანდათანობით გადაიქცა ომის საერთაშორისო ძალების ბაზად ახალი საომარი ავანტიურებისათვის მათ მომზადებაში. ეს ძალები ახორციელებენ დასავლეთ გერმანიის მილიტარისტული ძალების აქტიური აღორძინების პოლიტიკას. ხელს უწყობენ იმას, რომ მიღწეულ იქნას გერმანელი ხალხის ეროვნული ერთიანობა მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე და აკოწიწებდნენ სამხედრო ბლოკებს დასავლეთ გერმანიის მონაწილეობით, ესწრაფვიდნენ რა საფრთხე შეექმნათ ევროპის უშიშროებისათვის.

საერთაშორისო დაძაბულობა შედეგი იყო ევროპაში ომისშემდგომ პერიოდში საომარი მზადების პოლიტიკისა, რომელსაც ახასიათებს დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღება, გერმანიის გათიშვა და დასავლეთ გერმანიის გადაქცევა სამხედრო ბაზად. ეს პოლიტიკა ეწინააღმდეგება გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს და ზიანს აყენებს ევროპის ქვეყნების, აგრეთვე მსოფლიოს სხვა სახელმწიფოების ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას. ამიტომ ასეთი პოლიტიკა აწყდება გერმანელი ხალხის, ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხების მზარდ ოპოზიციასა და წინააღმდეგობას.

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება

გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვის გამო

ბუქარესტი, 1 სექტემბერი. (საკდესი). როგორც რუმინეთის დეპეშათა საგენტო იუწყება, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დღეს გამოქვეყნებულ განცხადებაში გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვის გამო ნათქვამია, რომ რუმინეთის მუშათა პარტია, მუშათა კლასი და მთელი რუმინელი ხალხი დიდი აღშფოთებით შეხვდნენ დასავლეთ გერმანიის ხელისუფალთა ამ თვითნებურ, უკანონო აქტს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველმა რეაქციულმა წრეებმა, აღნიშნულია განცხადებაში, კომუნისტური პარტია აკრძალეს იმიტომ, რომ იგი ყველაზე გადამწყვეტი ძალაა ბრძოლაში რემილიტარიზაციის წინააღმდეგ, ომის ახალ კერად გერმანიის გადაქცევის წინააღმდეგ. კომუნისტური პარტია აკრძალეს იმიტომ, რომ იგი გადაჭრით იღაშქრებს ომის წინააღმდეგ და რაზმავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხალხს მასებს გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის საბრძოლველად.

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება

გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვის გამო

ბუქარესტი, 1 სექტემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტო იუწყება, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა და სამდივნოს უფროსმა დენ სიაო-პინმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით სინხუას საგენტოს კორესპონდენტს გაუკეთა განცხადება დასავლეთ გერმანიის მთავრობის მიერ გერმანიის კომუნისტური პარტიის დევნის გამო. განცხადებაში ნათქვამია:

გერმანელი ხალხის სურვილის წინააღმდეგ და მსოფლიო საზოგადოებრიობის პროტესტის მიუხედავად, დასავლეთ გერმანიის მთავრობამ 1956 წლის 17 აგვისტოს კანონგარეშე გამოაცხადა გერმანიის კომუნისტური პარტია და გააძლიერა გერმანელი კომუნისტების დევნა. ამავე დროს აღშობს დასავლეთ გერმანიის სხვა დემოკრატიულ ჯგუფებსა და პროგრესულ ორგანიზაციებს.

ამ აქტმა, რომელიც ჰიტლერული რეაქციისა და ფაშისტური ტეროორის დროს მოგვაგონებს, ჩინელი ხალხის ღრმა აღშფოთება გამოიწვია. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ამასთან დაკავშირებით მტკიცე პროტესტს უცხადებს დასავლეთ გერმანიის მთავრობას.

შემთხვევითი როდია, რომ დასავლეთ გერმანიის ხელისუფლები სდევნიან გერმანელ კომუნისტებს. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დასავლეთი გერმანია თანდათანობით გადაიქცა ომის საერთაშორისო ძალების ბაზად ახალი საომარი ავანტიურებისათვის მათ მომზადებაში. ეს ძალები ახორციელებენ დასავლეთ გერმანიის მილიტარისტული ძალების აქტიური აღორძინების პოლიტიკას. ხელს უწყობენ იმას, რომ მიღწეულ იქნას გერმანელი ხალხის ეროვნული ერთიანობა მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე და აკოწიწებდნენ სამხედრო ბლოკებს დასავლეთ გერმანიის მონაწილეობით, ესწრაფვიდნენ რა საფრთხე შეექმნათ ევროპის უშიშროებისათვის.

საერთაშორისო დაძაბულობა შედეგი იყო ევროპაში ომისშემდგომ პერიოდში საომარი მზადების პოლიტიკისა, რომელსაც ახასიათებს დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღება, გერმანიის გათიშვა და დასავლეთ გერმანიის გადაქცევა სამხედრო ბაზად. ეს პოლიტიკა ეწინააღმდეგება გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს და ზიანს აყენებს ევროპის ქვეყნების, აგრეთვე მსოფლიოს სხვა სახელმწიფოების ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას. ამიტომ ასეთი პოლიტიკა აწყდება გერმანელი ხალხის, ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხების მზარდ ოპოზიციასა და წინააღმდეგობას.

პროფესორ გერმანიის კომპარტიის აკრძალვის წინააღმდეგ

აიდიტის დეპეშა ადენაუერისადმი

პეკინი, 1 სექტემბერი. (საკდესი). სინხუას საგენტო, ამოწმებს რა გაზეთ „ხარიან რაქიათის“ ცნობას, იუწყება, რომ ინდონეზიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა აიდიტმა ადენაუერის სახელზე გაგზავნა დეპეშა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ინდონეზიის 1 მილიონზე მეტი კომუნისტი და მთელი პროგრესული მოსახლეობა მტკიცე პროტესტს აცხადებენ ომის წინააღმდეგ, რომ დასავლეთ გერმანიის ხელისუფლებმა გადაწყვეტეს აკრძალოს გერმანიის კომუნისტური პარტია. დეპეშა შეიცავს მოთხოვნას, რომ ადენაუერის მთავრობამ გაუქმოს ეს უკანონო გადაწყვეტილება, რომელიც ჰიტლერიზმის რეციდივია.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის თანამშრომლობა ამურის წყლის რესურსების გამოყენების დარგში

პეკინი, 2 სექტემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტო იუწყება, საბჭოთა კავშირ-ჩინეთის შეთანხმების შესაბამისად ამურის ნაპირებზე გაჩაღდა სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა, რომლის მიზანია ამ მდინარის აუზის რესურსების კომპლექსური გამოყენება.

მუშაობაში მონაწილეობენ საბჭოთა და ჩინელი სპეციალისტები.

გაზეთ „გუანმინჟიბაოს“ ცნობით, სპეციალურმა ბრიგადამ, რომელიც საბჭოთა და ჩინელი სპეციალისტებისაგან შედგება, უკვე დასახა მდინარეებზე ამურსა და არგუნზე მთელი რიგი პუნქტები, სადაც აშენდება ჰიდროელექტროსადგურები. ეს ჰიდროელექტროსადგურები ენერგიას მიაწვდიან როგორც საბჭოთა კავშირის, ისე ჩრდილოეთ ჩინეთის რაიონებს.

ამურის ზემო და შუა წელში მდებარე უამრავი მიწების ვრცელი მასივების მელიორაცია შესაძლებელს გახდის იქ უხვი მოსავლის მოყვანას. ჰიდროელექტროსადგურთა აშენება უზრუნველყოფს ამ რაიონში მოწინავე ელექტროფიცირებული და მექანიზებული სოფლის მეურნეობის განვითარებას.

გათვალისწინებულია აგრეთვე ღონისძიებანი შორეული აღმოსავლეთის ამ დიდ მდინარეზე ნაოსნობის გასაუმჯობესებლად.

პანამის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

ნიუ-იორკი, 1 სექტემბერი. (საკდესი). ამ დღეებში, გამოვიდა რა პრეს-კონფერენციაზე, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებს თითქოს განსაკუთრებული უფლებები აქვთ პანამის არხის მიმართ. კომენტარი გაუკეთა რა დალესის ამ განცხადებას. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა დაადასტურა, რომ შეერთებულ შტატებს ყველა სუვერენული უფლება აქვთ პანამის არხის მიმართ.

დალესის გამოსვლამ და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებამ გამოიწვია პანამის მთავრობის პროტესტი. პანამის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბოიდმა ოფიციალურ განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ პანამას სუვერენული უფლებები აქვს პანამის არხის მიმართ, რადგან იგი აგებულია პანამის ტერიტორიაზე.

სავსებით უეჭველია, — ნათქვამია განცხადებაში, — რომ პანამა — ამერიკის 1903 წლის ხელშეკრულება არ ანიჭებს შეერთებულ შტატებს სუვერენიტეტს არხის ზონაზე. პანამამ შეერთებულ შტატებს მისცა მხოლოდ ზოგიერთი უფლება არხის მიმართ და მეტი არაფერი.

სპორტის ამგეგი

★ ★ ★

დაიწყო მე-12 საჭადრაკო ოლიმპიადა

1 სექტემბერს მოსკოვში საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში დაიწყო XII საჭადრაკო ოლიმპიადა. გუნდურ შეჯიბრებაში მსოფლიო პირველობაზე მონაწილეობს ავსტრიის, ინგლისის, არგენტინის, ბელგიის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჰოლანდიის, საბერძნეთის, დანიის, ისრაელის, ინდოეთის, ირანის, ირლანდიის, ისლანდიის, კოლუმბიის, ლუქსემბურგის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ნორვეგიის, პოლონეთის, პუერტო-რიკოს, რუმინეთის, საარის, სსრ კავშირის, ფილიპინების, ფინეთის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, ჩილის, შვეიცარიის, შვეციის, შოტლანდიისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა 34 ნაკრები გუნდი.

ზუსტად 17 საათზე ტურნირის მთავარი მსაჯის — საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის ა. ილმაკუნასის მითითებით აამუშავეს საათები მრავალ საჭადრაკო მაგიდაზე. შეჯიბრება ერთდროულად დაიწყო 100-ზე მეტმა მოჭადრაკემ.

დიდ ყურადღებას იქცევს საბჭოთა გუნდის — მსოფლიო ჩემპიონის თამაში, პირველ ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები შეხვდნენ შვეციის მოჭადრაკეებს.

2 სექტემბერს დღისით ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე შეჯიბრებაში დამთავრდა პირველი ტურის დაუმთავრებელი პარტიები.

სსრ კავშირისა და შვეციის გუნდების მატჩში ბოტვინიკმა მკაფიოდ გაანაღდა თავისი უპირატესობა ეტლენის დაბოლოებაში შტალბერგის წინააღმდეგ და ქულა შესძინა თავის გუნდს. კერესმა მოუგო სკელდს, სმისლოვი ყაიმზე დათანხმდა სტენბერგთან მწვავე პარტიაში. მატჩის საერთო ანგარიშია 3:1 სსრ კავშირის მოჭადრაკეთა სასარგებლოდ.

საღამოს დაიწყო შეჯიბრების მეორე ტური. საბჭოთა მოჭადრაკეები შეხვდნენ პუერტო-რიკოს გუნდს. ამ ტურში საბჭოთა გუნდი შემდეგნაირად გამოვიდა: გროსმაისტერები კერესი, ბრონშტეინი, ტაიმანოვი და გელერი. პარტია პირველმა დაამთავრა გელერმა. მან მოიპოვა გამარჯვება ბენიტესზე.

(საკდესი).

მსოფლიო ჩემპიონატი ფრენბურთში

პარიზი, 1 სექტემბერი. (საკდესი). ფრენბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც პარიზში მიმდინარეობს, საბჭოთა სპორტსმენებმა გუშინ ორი გამარჯვება მოიპოვეს. ვაჟთა გუნდმა მოუგო თურქეთის ფრენბურთელებს ანგარიშით 3:0 (15:0, 15:5, 15:12). სსრ კავშირის ქალთა გუნდმა მოუგო ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენებს აგრეთვე ანგარიშით 3:0 (15:7, 15:4, 15:6).

პარიზი, 2 სექტემბერი. (საკდესი). პარიზში მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი ფრენბურთში. წინასწარი შეხვედრების შემდეგ შეჯიბრების ფინალში გავიდნენ საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, საფრანგეთის, შეერთებული შტატების, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის, იუგოსლავიის. პოლონეთისა და უნგრეთის ვაჟთა გუნდები.

ქალთა გუნდებს შორის ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს სსრ კავშირის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, შეერთებული შტატების, ნიდერლანდის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და რუმინეთის ფრენბურთელებმა.

სსრ კავშირის ქალთა გუნდის ფინალური შეხვედრა ბულგარეთის გუნდთან დამთავრდა საბჭოთა ფრენბურთელების გამარჯვებით ანგარიშით 3:0.

დიდი სპორტული დღესასწაული



როგორც დიდმა სპორტულმა დღესასწაულმა, ისე ჩაიარა გასულ კვირას „დინამოს“ სტადიონზე სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მონაწილე საქართველოს სპორტული დელეგაციის შეხვედრამ ქალაქ თბილისის მშრომელებთან.

ხაზეიმო ნაწილი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გ. ვ. სიხარულიძემ. მან შეკრებილთ გააცნო სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში ჩვენი რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის მონაწილეობის შედეგები.

თორმეტი დღის დაძაბული ბრძოლის შედეგად, რომელიც გაჩაღებული იყო 21 სახეობის სპორტში, საქართველოს სპორტსმენებმა დაიკავეს საერთო მეხუთე ადგილი.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე დამყარებული იყო 12 ახალი რესპუბლიკური რეკორდი, გუნდის 149 მონაწილე დაჯილდოებულია სპარტაკიადის დიპლომებით პირადი საპრიზო ადგილებისათვის, 25 ახალგაზრდა სპორტსმენმა მოიპოვა სპორტის ოსტატის წოდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. დ. ჯაჯანიშვილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით მიეხალმა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მონაწილე ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს. მან საქართველოს სპორტსმენებს უსურვა ახალი გამარჯვებანი საბჭოთა სპორტის შემდგომი წარმატებებისათვის ბრძოლაში.

შეხვედრაზე გამოქვეყნდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება 30 წამყვანი მწვრთნელისა და სპორტსმენის საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 56 სპორტსმენსა და მწვრთნელს გამოეცხადა მადლობა და გადაეცა ძვირფასი საჩუქრები, საქართველოს სპორტული დელეგაციის 85 მონაწილეს გამოეცხადა მადლობა.

საზეიმო ნაწილის შემდეგ გაიმართა ფეხბურთის მატჩი თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსა და „ლოკომოტივის“ გუნდებს შორის. რესპუბლიკის საუკეთესო მძლეოსნებმა მონაწილეობა მიიღეს 80 მეტრზე თარჯრბენში, 4×100 ამანთრბენში ქალებისათვის და 4×200 ვაჟებისათვის. ვაჟთა ამანათრბენის მონაწილეებმა ვ. ბაკრიშევმა, რ. ტრაპაიძემ, ნ. კლიუევმა და ლ. სანაძემ დაამყარეს ახალი რესპუბლიკური რეკორდი, ამანათრბენის კვერთხი მიიტანეს 1 წუთსა და 29 წამში. ადრინდელი მიღწევა გაუმჯობესებულია 5 წამით.

პროგრამის დასასრულს მოეწყო სპორტული და მხატვრული საჩვენებელი ტანვარჯიში, აკრობატიკა, კრივი, თავისუფალი, კლასიკური და ქართული ჭიდაობა.

(საკდესი).

• • •

სურათებზე: ზევით — საქართველოს სსრ სპორტული დელეგაცია „დინამოს“ სტადიონზე მსვლელობის დროს, ქვევით — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონები (მარცხნიდან მარჯვნივ) მ. ცალიკაშვილი, გ. სხირტლაძე და რ. ძნელაძე საპატიო კვრცხლბეკზე.

ფოტო ვ. ზარიძისა.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი დანიშნა სსრ კავშირის საშინ მასალათა მრეწველობის მინისტრად.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

დღეს

თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ოიდიპოს მეფე, **რკინიგზელის სახლი** (ჭუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის გასტროლები) — ჩვენებურები, **ფილარმონიის საზაფხულო თეატრი** — უკრაინის რესპუბლიკური სიმღერა-ცეკვის ორკესტრის კონცერტი.

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** — უკვდავების კოცონი, **ამირანი** (საზაფხულო), **სპარტაკი, კომკავშირელი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი, კოლხიდა** (საზამთრო და საზაფხულო), **კომუნარების ბაღი** — ბედნიერებასთან შეხვედრა, **ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, ისანი** (საზამთრო), **კიროვის სახელობის პარკი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — საეჭვო პიროვნება, **თბილისი, 26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — ქუჩის სერენადა, **ისანი** (საზაფხულო), **მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — თოლიები კვდებიან ნავსადგურში, **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **კოლმეურნე, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ჯადოსნური მახვილი.

თბილისის ფოსტამტი და კავშირგაბმულობის ქალაქის განყოფილებები იღებენ დაწესებულებებისაგან, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან ბანდეროლებს სამრეწველო ნივთებით, წონით ერთ კილოგრამამდე 200 მანეთის შეფასებით, ჩაკეთებულს, დალუქულს გამგზავნის მიერ.

ასეთ ბანდეროლებზე შეიძლება საწერ მანქანაზე დაბეჭდილი მისამართის დაკვრა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს რენტგენოლოგიის კათედრის კლინიკური ორდინატორის 2 ვაკანტურ თანამდებობის დასაკავებლად.

ორდინატურაში მიღების პირობები იხილეთ გაზეთ „კომუნისტის“ 1956 წლის 30 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ განცხადებაში.

კონკურსის ვადა 15 დღე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

განცხადებები მიიღება სამედიცინო ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში, მელიქიშვილის ქ. № 10.

დაიწყო ხელმოწერა ოქტომბრიდან 1956 წლისათვის:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალ ჟურნალზე „Агитатор“. პერიოდულობა—თვეში ორჯერ.
2. „Условия жизни и здоровье“—ექიმთა საერთაშორისო კავშირის ორგანო.

ჟურნალი გამოაქვეყნებს სამედიცინო მეცნიერების ყველა განაყოფების მასალებს — სოციალური ჰიგიენის, შრომის ჰიგიენის, პროფესიულ დაავადებათა, შრომის დაცვის, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე, ეპიდემიურ დაავადებათა საწინააღმდეგო ღონისძიებებზე, სამედიცინო სტატისტიკის, სანიტარული განათლების საკითხებზე. ჟურნალი გათვალისწინებულია მედიცინის მუშაკთა ფართო წრეებისათვის.

„სოიუზპეჩატი“.

შვილები ანა, რევაზ, რძალი თამარ, დები ნატალია, სალომე, თინა, ელენე, ძმები ელიზბარ, ვიქტორ ოჯახებით იუწყებიან

ლუბა ზაქარიას ასულ მჭედლიძე-შენგელიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5-IX 8 ს. გამოსვენება 6-IX 6 ს. მცხეთის ქ. № 9.

მეუღლე პაპა, შვილი ქეთო, ძმა ბათუ მზარელუები, და სულიკო ძვანია, თამარ, ნინა, მარგო, ლეილა, გივი ძვანიები, სიძე ივანე ზოდელავა იუწყებიან

ალექსი თეიმურაზის-ძე მზარელუას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-IX, ქ. ფოთში. გამოსვენება ბინიდან მახარაძის ქ. № 16.

შვილები ნადეჟდა, კოტე, პუპულო, მიხეილ, თამარ, ივანე, შოთა, სიძეები ი. ჩიხლაძე, ა. ნემსაძე, ი. ჯიმშელეიშვილი, რძლები ელენე, ნადია, ნინო, მანანა შვილებით იუწყებიან

ნიკოლოზ დიანოზის-ძე ღვალაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-IX სოფელ ობჩაში (მაიაკოვსკის რ.).

შვილები თამარ, ზურაბ, ლონა, რძალი ლია კვიტაშვილი იუწყებიან

თამარ მეთოდეს ასულ ჩიკვაიძე-ჯღამაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5-IX, 8 ს. გამოსვენება 6-IX, 5½ ს. პლეხანოვის პროსპ. № 171.

მშობლები ლევან, ანა, დები სარა, სურიკა, ძმები ნესტორ, აკაკი, ალაზა, სიძე ა. ბაბანასოვი, რძლები ნ. ჯაბანიშვილი, ნ. წიკლაური ოჯახებით იუწყებიან

ნატალია ლევანის ასულ ხაიაურის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-IX სოფელ დულუბაურებში (თიანეთის რ.).

შვილები ბესარიონ, ლევან, გრიგოლ რძლები ნინო, ნორა, ჟენია, ძმები შოთა, მიხეილ, დები ელენე, ლიზა ოჯახებით იუწყებიან

სოფიო მიხეილის ასულ ჯავახიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5-IX, 8 ს. გამოსვენება 6-IX, 5 ს. სუნდუკიანის შესახვევი № 11.

დედა ნინო, შვილები ნორა, ნათელა, დები ვარა, ანა, რუსუდან. ძმები ფილარეტ. ანდრო, სოსო, სიძეები კ. ჯაკობია, თ. ბერიძე, რძლები ქრისტინე, მთიკო, თამარ ოჯახებით იუწყებიან

ნოდარ კონსტანტინეს-ძე ამაშუკელის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5-IX, 8 ს. გამოსვენება 6-IX, 5 ს. ევდოშვილის ქ. № 20.

დედა სონია, ძმები ალექსანდრე, ნოდარ ნათესავები იუწყებიან

გურამ ალექსანდრეს-ძე თოფურიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5-IX, 8 ს. გამოსვენება 6-IX, 6 ს. კარგარეთლის ქ. № 9.

УЭ 07102 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.